

გენერი და კაციას მოწოდების ჩილდენ მართვა

თემის მედეგობის ამაღლება სპეციფიკური
საჭიროებების და პოტენციალის
შესწავლის გზით

საჩუვანებელი კურსი

| | |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| აბრევიატურების სია | 3 |
| რეზიუმე | 4 |
| I პრევის ანსი | 5 |
| 1. კვლევის მიზანი და დანიშნულება..... | 5 |
| 2. კონტექსტი:..... | 5 |
| 2.1. ქვეყნის შესახებ..... | 5 |
| 2.2. კატასტროფების წინაშე მოწყვლადობა | 5 |
| 2.3. კატასტროფების წინაშე მოწყვლადობა | 7 |
| 2.4. გენდერული ფაქტორებით განპირობებული მოწყვლადობა | 8 |
| 2.5. კატასტროფის რისკის შემცირებისა და გენდერის პოლიტიკის აქტორები | 9 |
| 3. კვლევის სტრუქტურა | 10 |
| II პრევის ღიზაბინი | 11 |
| 1. მეთოდოლოგია..... | 11 |
| 2. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი | 12 |
| III სამაგისტრო კვეთა | 13 |
| 1. თავსებადობა სენდაის სამოქმედო ჩარჩოსთან და მდგრადი განვითარების მიზნებთან | 13 |
| 2. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები | 14 |
| 3. გენდერის განსაზღვრება და გენდერული მექანიზმები | 15 |
| 4. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობა | 16 |
| 4.1. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პოლიტიკა და სამართლებრივი დოკუმენტები | 16 |
| 4.2. საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ინსტიტუციური მექანიზმები | 18 |
| 4.3. გენდერული სტერეოტიპები | 20 |
| 5. კატასტროფის რისკის შემცირების კანონმდებლობა და პოლიტიკა | 22 |
| 6. საველე კვლევა | 23 |
| IV მთავარი მიზანებათ | 24 |
| 1. ფოკუს-ჯგუფის, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებისა და ქედის, ხულოს, შეახევის, თიანეთის, დუშეთისა და თელავის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდული კლუბების წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები | 24 |
| პრიორიტეტი 1. კატასტროფის რისკის გაანალიზება | 24 |
| პრიორიტეტი 2. კატასტროფის მართვის სისტემის გაძლიერება კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით | 27 |
| პრიორიტეტი 3. ინვესტიციის განხორციელება კატასტროფის რისკის შემცირებაში მდგრადობის მიზნით | 31 |
| პრიორიტეტი 4. კატასტროფისთვის მზადყოფნის გაძლიერება, ეფექტუანი რეაგირების და „ხელახლა უკეთესი ხარისხით მშენებლობის“, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით | 32 |
| კატასტროფის რისკის შემცირება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე | 34 |
| V ჩავთვედაზიანი | 35 |
| VI ბიბლიოგრაფია | 38 |

პრინციპების სისტემა

ASB – მუშა სამარიტელთა კავშირი

CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი

CVGs – თემის მოხალისეთა ჯგუფები

DG ECHO – ევროკომისის ჰუმანიტარული მისის და სამოქალაქო უსაფრთხოების გენერალური დირექტორატი

DIPECHO – ევროკომისის ჰუმანიტარული მისის და სამოქალაქო უსაფრთხოების გენერალური დირექტორატის კატასტროფისთვის მზადების პროგრამა

DRM – კატასტროფის რისკის მართვა

DRR – კატასტროფის რისკის შემცირება

EMA – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

EMD – საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი

EWS – ადრეული შეტყობინების სისტემები

GEL – ქართული ეროვნული ვალუტა ლარი

GEOSTAT – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

GRCS – საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

HFA – ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო პროგრამა

MENRP – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

MES – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

MIA – შინაგან საქმეთა სამინისტრო

MOLHSA – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MRDI – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

NCDC – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

NGO – არასამთავრობო ორგანიზაცია

PDO – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

PM – პრემიერ-მინისტრი

UN – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა

UNFPA – გაეროს მოსახლეობის ფონდი

ჩეზიუმი

საქართველოში კატასტროფების რისკი მუდმივი პრობლემაა ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებებიდან და ისეთი ბუნებრივი კატასტროფებისადმი მიღწეულებიდან გამომდინარე, როგორიცაა: წყალდიდობა, მეწყერი, დარცვი, ზვავი, მინისძვრა, სეტყვა, გვალვა. რისკებს ამძაფრებს აღნიშნული კატაკლიზმებისადმი მოსახლეობის მოწყვლადობაც. ბუნებრივი კატასტროფა არ არის გენდერულად ნეიტრალური. ის ქალებს, კაცებს, გოგონებსა და ბიჭებს სხვადასხვანაირად შეეხება – განსხვავებული საჭიროებების, მოწყვლადობის, გამოწვევებისა და პოტენციალის თვალსაზრისით.

წინამდებარე კვლევა შეისწავლის გენდერული საჭიროებებით გამოწვეულ თავისებურებებს და ხარვეზებს ქვეყნის 6 მუნიციპალიტეტში – ქედაში, ხულოში, მუახევში, თიანეთში, დუშეთსა და თელავში და ადგენს გენდერული მენისტრომინგის საჭიროებას. რაოდენობრივ და თვისებრივ მიღგომებზე დაყრდნობით, კვლევა ეფუძნება კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩოს და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, რათა შეაფასოს გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის მართვის პრაქტიკა თემებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე.

დღეისათვის საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედებს ზოგიერთი სტერეოტიპი და ქალისა და კაცის როლები ტრადიციული მიღგომების შესაბამისად იყოფა. კატასტროფის წინარე მოსამზადებელი და მისი მართვის პერიოდებში შესასრულებელი სამუშაოებიც გენდერული ნიშნით ნანილდება. ქალები იშვათად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიღვები მაღალ პოზიციებზე სხვადასხვა თემისა და მუნიციპალიტეტში. ეს ხელს უშლის ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვის პროცესებში ქალების გადაწყვეტილების მიღების უნარების აღიარებას. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ სოფელში კაცების ჩართულობა კატასტროფის წინარე მოსამზადებელ სამუშაოებსა და ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებში ასევე გამოწვევა. ასეთ შემთხვევებში კაცები, ძირითადად, ეყრდნობიან თავიანთ ფიზიკურ ძალას და, ასევე, ტრადიციულ მასკულინურ საზოგადოებებში დამკიდრებულ ატრიბუტებს, როგორიცაა გამჭრიახობა და ძალაუფლება. მსგავსი დამოკიდებულებები ხელს უშლის კაცების მონაწილეობას თემის მედეგობის გაძლიერებაში. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ კვლევის სამიზნე რეგიონებში მცხოვრები ბიჭები და გოგონები ფლობენ საბაზისო ცოდნას გადაუდებელ სიტუაციებში თავიანთი როლების შესახებ.

კვლევის სამიზნე მუნიციპალიტეტების სტრატეგიებისა და ბიუჯეტების ანალიზმა ცხადყო, რომ მათში ყოველთვის არ არის გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის კომპონენტი, რაც ასევე შეიძლება ჩაითვალოს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონმდებლობის აღსრულების სისუსტედ. კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნებაა გენდერის კოორდინატორების ბუნდოვანი როლი ადგილობრივ თვითშპართველობებში. გენდერის კოორდინატორების დანიშნულებაა მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, სინამდვილეში კი მათი სამუშაო და ჩართულობა თემის აქტივობებში გენდერული მეინსტრიმინგის კუთხით ბოლომდე განსაზღვრული არ არის.

გასულ ათწლეულში საქართველოს მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კატასტროფის რისკის შემცირებისა და კატასტროფის შედეგად გამოწვეული დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, რაც გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებას, გადაუდებელ სიტუაციაში რეაგირებისა და აღდგენის სამსახურების მუშაობის გაძლიერებას, ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყოფას კატასტროფის რისკის შემცირებისთვის. ამის პარალელურად განხორციელდა აქტიური პოლიტიკური და სტრატეგიული ინიციატივები სხვადასხვა ცხოვრებისეულ რეალობაში გენედერის მეინსტრიმინგისთვის, მათ შორის არის გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა და განვითარება და, აგრეთვე, სხვადასხვა ინსტიტუციური მექანიზმის შეთავაზება ამ საკითხებთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, გენდერული მეინსტრიმინგი კატასტროფის რისკის მართვაში გამოუყენებელ შესაძლებლობად რჩება და გენდერი აღნიშნულ პროცესში განიხილება, როგორც დამატებითი და არა განუყოფელი კომპონენტი. უფრო მეტიც, გენდერული სპეციფიკურობის გათვალისწინება კატასტროფისთვის მზადყოფნისა და საპასუხო რეაგირების საკითხებში ჯერ კიდევ არ არის დამკიდრებული. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეიქმნას მრავალი განსხვავებული ინსტრუმენტი საქართველოში გენდერულად სპეციფიკური საჭიროებებისა და პრიორიტეტების განსასაზღვრად, რომელთა გამოყენება მოხდება საჭიროებათა შეფასების, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების, დაგეგმვის, მონიტორინგისა და სიტუაციის შეფასების მიზნით.

მთლიანობაში, კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოს მთავრობას აქვს სურვილი და პოტენციალი კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში გენდერულად ბრმა პოზიციიდან უფრო ინტეგრაციულ მიღგომაზე გადასასვლელად. ეროვნულმა და ადგილობრივმა სამთავრობო ინსტიტუტებმა გამოხატეს ინტერესი, მიიღონ ისეთი ზომები, როგორიცაა: გენდერულად დეტალიზებული მონაცემების შეგროვება, რათა შესაძლებელი გახდეს მოწყვლადობის მაჩვენებლის განსაზღვრა კატასტროფების დროს; გენდერული კომპონენტის ინტეგრირება კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკასა და სტრატეგიულ დოკუმენტებში და, ასევე, მზადყოფნის უზრუნველყოფა საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისთვის.

მთელი რიგი სახელმწიფო და არასამთავრობო აქტორი ახორციელებს აქტივობებს სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდისა დაწესებულებებში და მასნავლებლებისა და მოსამდებლებისთვის ატარებენ ტრენინგებსა და ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებს კატასტროფისთვის მზადყოფნისა და მენეჯმენტის საკითხებზე — როგორ უნდა მოიქცნენ კატასტროფამდე, კატასტროფის შერიცხვის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელ და სასკოლო ასაკის საგანმანათლებლო კურიკულუმში ჩადებულია კატასტროფის რისკის მართვის კომპონენტი, გენდერულად მგრძნობიარე ფინანსური ჯერ არ არის ამ კურიკულუმშების ნაწილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მზად არიან, გაითვალისწინონ ეს საკითხი.

I კვლევის აჩვენებები

1. კვლევის მიზანი და დანიშნულება

კვლევის მიზანია კატასტროფის რისკის შემცირების აქტივობებში ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგონების ჩართულობის მიმოხილვა და არსებული საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოწვევების ამოცნობა, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების ჩასართავად კატასტროფის რისკის შემცირების საქმიანობაში. კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა კვლევის შედეგად მიღებული მთავარი მიგნებების განვრცობა და რეკომენდაციების შემუშავება, რომლებსაც „ოქსფამი“, „ბრიჯი“ და შესაბამისი ეროვნული აქტორები გავრცელებენ. ეს დადებით გავლენას მოახდენს რეგიონულ, მუნიციპალურ და თემის დონეზე კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფაზე. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს კატასტროფის რისკის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი ეროვნული და ადგილობრივი სახელმწიფო აქტორების მიერ საკითხის უკეთ გაცნობიერებას და მათ ჩართვას ფართო დისკუსიებში, აგრეთვე, იმ არასახელმწიფო აქტორების ინტეგრირებას აღნიშნულ პროცესებში, რომელთა საქმიანობაც კატასტროფისთვის მზადყოფნისკენ, კატასტროფის შედეგების შერბილებისა და საპასუხო რეაგირებისკენ არის მიმართული.

2. კონცესტი:

2.1. ქვეყნის შესახებ

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, რომლის გეოგრაფიული ერთეულებია: კავკასიონის მთა, მთათაშუა დაბლობები, რომლებიც ლიხის ქედით იყოფა კოლხეთის და ივერიის დაბლობებად და თრიალეთის ქედი (პატარა კავკასიონის მთათა სისტემის ნაწილი); მას ესაზღვრება შავი ზღვა და მეზობელი ქვეყნები¹: რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი. საქართველოში დაახლოებით 25 000-მდე მდინარეა, რომელთაგან ყველაზე დიდია რიონი – ის ერთმანეთთან აკავშირებს დიდ კავკასიონს და შავ ზღვას. მთის ხეობები ქმნის ტოპოგრაფიულ სარტყელებს დიდი კავკასიონის ფარგლებში. მთაგარ ეკონომიკურ სექტორებს შორისაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, საკვების გადამუშავება, ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაციები. საქართველოს მოსახლეობა, 2017 წლის მონაცემებით, 3.718.2 მილიონია, მათგან 57.2% ქალაქებში ცხოვრობს (2.128.6 მლნ), ხოლო 42.8% (1.589.6 მლნ) სოფლიად². საქართველოს მოსახლეობის საარსებო წყაროები და ბიზნესი, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანას უქავშირდება, როგორიცაა: ყურძენი, ციტრუსი, ხე-ტყე, ჩაი და თხილი; ხდება მარგანეცის, რკინისა და სპილენძის ნედლეულის მოპოვება; ღვინისა და წვენის წარმოება; ასევე, ქმიტიკების წარმოება. მიგრაციის დონე მკვეთრად შეიცვალა ბოლო 15 წლის მანძილზე – თუ 2000 წლისთვის ეს მაჩვენებელი იყო 35.2 ყოველ 1000 კაცზე, 2015 წელს ის 3.4-მდე შემცირდა. ემიგრანტთა უმრავლესობა 20-54 წლამდე ასაკის მამაკაცია.

2.2. კატასტროფების წინაშე მოწყვლადობა

საქართველოში ხშირია სტიქიური უბედურებები. ქვეყნის ტერიტორიის 80% მთანია, რაც გეოლოგიურ და ჰიდრომეტეოროლოგიურ კატასტროფებს განაპირობებს და, საქართველოს მთავრობის³ მონაცემების თანახმად, ბოლო 40 წლის განმავლობაში სტიქიური უბედურებების შედეგად ქვეყნის ტერიტორიის 70% დაზარალდა. სტიქია აზარალებს როგორც მოსახლეობას, ისე სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და ქვეყნის ინფრასტრუქტურას. სტიქიური უბედურებები, როგორიცაა: წყალდიდობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავი, მიწისძვრა, სეტყვა და გვალვა – ძლიერ გავლენას ახდენს საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლესა და არსებობაზე. ეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანაკარგებებს იწვევს – საქართველოს მთავრობის მონაცემებით, ბოლო 40 წლის განმავლებაში სტიქიური უბედურებებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა ზარალმა 14 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ქვეყანაში ასევე არის ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოაქტიური საფრთხეები სანარმოო უსაფრთხოების დაბალი სტანდარტების გამო.

საქართველოს ტერიტორია კავკასიის ალპურ-ჰიმალაიური კოლიზის ნაწილია.⁴ რეგიონის ისტორიული და ინსტრუმენტული სეისმოლოგია აჩვენებს, რომ მოცემული რეგიონი ზომიერი სეისმოლოგიის არეალში მდებარეობს. ძლიერი მიწისძვრების (7-იდან 9 მაგნიტუდის სიმძლავრის) სიხშირე ბოლო 100 წლის

1 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11041/1/The_Histori_of_The_Flora.pdf

2 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

3 [http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management\(1\).pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management(1).pdf)

4 http://drm.cenn.org/Hazard_assessment_files/eng/Seismic_hazard_assessment_of_Georgia.pdf

მანძილზე საქაოდ მაღალია.⁵ საქართველოში კლიმატი ძალზე მრავალფეროვანია, უდნობი თოვლიდან და მყინვარებიდან დაწყებული, ტენიანი სუბტროპიკული კლიმატური ზონებით დამთავრებული. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, 2012-2015 წლებში საქართველოში 2813 გეოლოგიური (2324 მეწყერი და 489 ღვარცოფი) და 243 ჰიდრომეტეოროლოგიური (54 წყალდიდობა, 68 ქარიშხალი და ძლიერი ქარი, 88 გვალვა, 3 დიდთოვლობა და 30 ზვავი) მოვლენა მოხდა, რომელმაც გავლენა იქნია ათასობით სამოსახლოზე.⁶ 1990-2014 წლების მონაცემებით, წყალდიდობებს, რომლებიც კატასტროფათა შორის ყველაზე ხშირია (62%), მოსდევს მინისძვრები (19%) და ქარიშხალი (14%-ზე მეტი).⁷ ყოველწლიურად საქართველოში წყალდიდობის შედეგად საშუალოდ 100 000-მდე ადამიანი ზარალდება, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონეზე დაახლოებით 400 მილიონი აშშ დოლარის ზარალს უდრის. მინისძვრით დაზარალებულთა ყოველწლიური რაოდენობა საშუალოდ 300 000-ია, რაც მშპ-ის დონეზე 900 მილიონი აშშ დოლარის ზარალს უტოლდება. მინისძვრით გამოწვეულია სიკვდილიანობის 500 შემთხვევა, ხოლო კაპიტალური დანაკარგები 500 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.⁸

აჭარა, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი მოწყვლადია ბუნებრივი კატასტროფების მიმართ, თუმცა მათ შორის არ-სებობს განსხვავება ბუნებრივი კატასტროფის ტიპისა და რისკის ხარისხის, აგრეთვე, ადგილობრივი თემების მზადყოფნისა და მოწყვლადობის ხარისხის მიხედვით. აჭარის რეგიონში განსაკუთრებით დიდი იყო ზარალის ოდენობა – 1981-2000 წლებში ბუნებრივი კატასტროფის გამო მიღებული ზარალი 150 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა. დიდი დახმარილობის ფართობებზე განლაგებული სავარგულების ნაყოფიერი ნიადაგის საფარი თითქმის მთლიანად გადარცხილია და ნიადაგნარმომქნელი ქანები უშუალოდ ზედაპირზეა გაშიშვლებული, მაშინ როდესაც მათ ბიოგენურ რეგენერაციას გაცილებით დიდი დრო და შესაბამისი ზომების მიღება სჭირდება. ეროზიული პროცესებით განსაკუთრებულად დაზიანებული რეგიონების რიცხვს მიეკუთნება მთიანი აჭარა (87%-მდე) და, აგრეთვე, დუშეთიც. „მწვანე ალტერნატივას“ მიერ ჩატარებული კვლევის⁹ თანახმად, საქართველოში ყველაზე მაღალი ზავასაშიშროების კოეფიციენტით (0,7-0,8-მდე) კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური მონაკვეთები და აჭარის მაღალმთიანეთი გამოირჩევა. თოვლის ზვავების განსაკუთრებული აქტივობა აღინიშნება 1970 წლიდან და მათი მასიური ჩამოსვლა დაფიქსირებულია 1970-1971, 1975-1976, 1986-1987, 1992, 1996-1997, 2004-2005 წლებში, როდესაც დიდთოვლობის გამო დიდი ზვავები ჩამონვა. მაგალითად, 1996 წელს აჭარის მაღალმთიანეთში ზვავი 40-ჯერ ჩამონვა.

ეკომიგრაცია პრობლემას წარმოადგენს აჭარის მთიანი რეგიონისთვის, საიდანაც კლიმატის ცვლილების შედეგად ადამიანები სხვაგან გადაიყვანეს საცხოვრებლად, როგორც ეკომიგრანტები და ამის შედეგად აჭარის მოსახლეობა 2002 წელს არსებული 376 016-იდან 336 077-მდე შემცირდა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობა საცხოვრებელი ადგილის დატოვების მიზეზად ასახელებს ბუნებრივ კატასტროფებს, როგორიცაა მეწყერი და ნიადაგის ეროზია, ასევე, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის შექმნილ პრობლემებს, რომლებიც კლიმატის ცვლილებით, კატასტროფებითა და გარემოს ზემოქმედებითა გამოწვეული. სამცხე-ჯავახეთში ეკომიგრანტების უმეტესობა მთიანი აჭარის, ხელოს მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ჩამოვიდა, საიდანაც ისინი მეწყრებსა და წყალდიდობებს გამოეკცნენ. 1981-1988 წლებში ჩამოსული მოსახლეობა მეტნილად ასპინძისა და ადიგენის რაიონებში ჩაასახლეს, ხოლო 1980-იანი წლების დასაწყისიდან 1990 წლებამდე ეკომიგრაცია სხვა რეგიონებსაც შეეხო, მათ შორის, კახეთსაც.¹⁰

ღვარცოფების მოვარდნის მუდმივი რისკის ქვეშა კახეთის კავკასიონის ქედის ძირში განლაგებული დასახლებული პუნქტების მოსახლეობა და, პირველ რიგში, ქალაქი ყვარელი, ასევე, ცივგომბორის ქედის ძირში მდებარე სავარგულები და დასახლებული პუნქტები. ღვარცოფების საშიშროება გამოიხატება არა მარტო უარყოფითი შედეგებით, არამედ, პირველ ყოვლისა, იმით, რომ ისინი გამოირჩევინ ფართომასშტაბური, თითქმის საყოველთაო გავრცელებით ქვეყნის ინტენსიურად დასახლებულ და სოფლის მეურნეობით დაკავებულ რეგიონებში. გვალვა დამახასიათებელია ორივე რეგიონისთვის, განსაკუთრებით კი – კახეთისთვის.

თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში გავრცელებული ბუნებრივი საფრთხეებია ძლიერი წვიმა, წყალდიდობა/წყალმოვარდნა, მეწყერი, მდინარის ნაპირების წარეცხვა და ღვარცოფი. ეს პროცესები პერიოდულად ემუქრება რეინიგზებს (დაახლოებით 300 კმ-ზე) და საავტომობილო გზებს (1500 კმ-ზე), მწყობრიდან გამოჰყავს საირიგაციო ობიექტები, აზიანებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. მსგავსი ბუნებრივი კატასტროფები დიდ საშიშროებას უქმნის ქალაქებსა და დაბებს – თელავს, მცხეთას და ასეულობით სასოფლო დასახლებას. მათი ექსტრემალური გააქტიურების პირობებში კი, რაც 1-3, 3-5 და 8-11-წლიანი ინტერვალებით აღინიშნება, ზარალი ასეულ მილიონ აშშ დოლარს აღწევს. მაგალითო-სათვის, 1997 წელს თელავის ხეობაში მოვარდნილმა ღვარცოფებმა ქალაქ თელავის ინფრასტრუქტურას 30 მლნ აშშ დოლარის ზარალი მიაყენა.

5 http://drm.cenn.org/Hazard_assessment_files/eng/Seismic_hazard_assessment_of_Georgia.pdf

6 http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/agriculture/Environment_2015.pdf

7 <http://www.preventionweb.net/countries/geo/data>

8 <http://pubdocs.worldbank.org/en/289611483041846865/georgia.pdf>

9 [http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management\(1\).pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management(1).pdf)

10 [http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management\(1\).pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management(1).pdf)



2.3. სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობა

გაეროს ჰუმანური განვითარების ინდექსის თანახმად, საქართველო საშუალო შემოსავლების ქვეყნებს შორის ზედა პოზიციაზეა და მაღალი ჰუმანური განვითარების კატეგორიაში წვდება, რომლის კლასიფიკაციითაც 76-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს 188 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის; საქართველოს მშპ 13,965 მილიარდი აშშ დოლარია (2015)¹¹, ხოლო მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 4160 აშშ დოლარს შეადგენს¹². უმუშევრობა ქვეყანაში 12%-ია და სილარიბის მაჩვენებელი 69.3-ს უტოლდება.¹³ მთავრობის მონაცემების თანახმად, სილარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ადამიანები მოსახლეობის 10.1%-ს შეადგენს და ერთ სამოსახლოზე შემოსავალი საშუალოდ 1022.3¹⁴ ლარია (2015 წლის მაჩვენებლები). საქართველოს ეკონომიკა ნელ-ნელა მომსახურების სფეროზე ორიენტირებული ხდება (მშპ-ის 68.3%, 2016 წ.) და სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან (მშპ-ის 9.2%) მცირე და საშუალო სანარმოებისკენ იხრება, თუმცა ქვეყნის სამუშაო ძალის 55.6% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული.

ეკონომიკური ზრდის მიუხედავად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ისევ სილარიბეში ცხოვრობს. სოფლად საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ბავშვიანი ქალები უძლვებიან, განსაკუთრებით მოწყვლადია სილარიბის მიმართ. საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ქვეყანაში უკეთესი საცხოვრებელი პირობები შექმნა ყველასთვის, განსაკუთრებით მათვის, ვინც შემოსავლის განახლების ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას. 2014 წლის მაჩვენებლების თანახმად, უკვე მეოთხე წელია სილარიბები მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა ქვეყნის მოსახლეობის ერთ მესამედს ჯერ კიდევ სილარიბეში უწევს ცხოვრება – მოსახლეობის 32%-ის დღიური შემოსავალი 2.5 აშშ დოლარია. 2010-2014 წლებში ეკონომიკური აქტივობებიდან მიღებულმა შემოსავალმა საგრძნობლად შეუწყო ხელი სილარიბის შემცირებას. ამისგან განსხვავებით, 2010 წლამდე პერიოდში ეკონომიკური აქტივობებიდან მიღებული შემოსავალი უმნიშვნელო როლს ასრულებდა სილარიბის დაძლევაში, ხოლო უცხოეთიდან შემოსულ ფულად გზავნილებს წამყვანი ადგილი ეკავა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, აჭარის რეგიონში უმუშევრობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქვეყნის მასტებაბით და 16.4%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ქვეყნის მასტებით უმუშევრობა 15.0%-ია. მცირე და საშუალო ადგილობრივ ბიზნესებს წამყვანი ადგილი უკავია სამუშაო ადგილების შექმნასა და სილარიბის შემცირებაში, მაგრამ მზარდ და კონკურენტულ გარემოში მათ დამოუკიდებლად თავის გატანა უჭირთ. ლარიბთა დაახლოებით 80% ახერხებს სილრიბისგან თავის დაღწევას წლის გამავლობაში. უმუშევრის სტატუსი პირდაპირ შეესაბამება გრძელვადიან სილარიბეს. ის ოჯახი, სადაც ოჯახის თავი უმუშევარი ან პასიურია, ქრონიკულად სილარიბის რისკის ქვეშა. სილარიბის დონე აჭარაში დაახლოებით 27.4%-ია, ხოლო უმუშევრობა ამ რეგიონში 25%-ს უტოლდება და 8%-ით უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ეკონომიკური მდგომარეობა აჭარაში, რომლის მოსახლეობა 386 900-ია (2010 წ., საქსტატი), განაპირობებს იმას, რომ აჭარელი ახალგაზრდები საქართველოს სხვა რეგიონებში მიდიან. ეს კი ცვლილების არაპირდაპირი კატალიზატორია. რეგიონის ეკონომიკა დიდწილად სოფლის მეუ-

11 http://hdr.undp.org/sites/all/themes/hdr_theme/country-notes/GEO.pdf

12 <http://data.worldbank.org/country/georgia>

13 <http://www.worldbank.org/en/country/georgia/overview>

14 http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=182&lang=eng



რნეობას ეყრდნობა, რომლის მთავარი კომპონენტებია მეცხოველეობა, კარტოფილის, ლობიოს, სიმინდისა და თამბაქოს მოყვანა. ამასთანავე, ყველა ის ინდუსტრიული ბაზა, რომელიც რეგიონს საბჭოთა პერიოდში ჰქონდა, გაქრა. ხულოსა და შუახევის ადმინისტრაციული ცენტრები ერთ დროს ტექსტილისა და წვენის ქარხების ადგილსამყოფელი იყო. შესაბამისად, დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან ორივე დაიხურა. უფრო მეტიც, უმაღლესი განათლების მიღება ზემო აჭარაში თითქმის შეუძლებელია, თუ არ ჩავთვლით ქართული მართლმადიდებელი ეკლესის დაქვემდებარებაში მყოფ წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შუახევში. შესაბამისად, ადგილობრივთა ხელფასი ძალიან დაბალია, სილარიბეც ჩვეული მოვლენაა და შესაძლებლობები სოციალური აქტიურობისთვის შეზღუდულია. ამის გამო ახალგაზრდა აჭარელთა უმრავლესობა ცდილობს, განათლების მისაღებად და სხვა შესაძლებლობებისთვის ქვეყნის სხვა მხარეებში წავიდეს.

გეოგრაფიულ განაწილებას რაც შეეხება, სილარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საკვლევ რეგიონებს შორის კახეთში ალინიშნება (46.3%), მას მოსადევს მცხეთა-მთიანეთი (40.6%). სტატისტიკის თანახმად, თავისუფალი შემოსავლის მხოლოდ 5.1%-ია მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის შედეგად. მეორე მხრივ, ყველაზე დარიბი ოჯახები, რომელთა რიცხვი 60%-ს უზოლდება, აღნიშნავნ, რომ მათი დღიური დანახარჯი 2 აშშ დოლარზე ნაკლებია. მოსახლეობის ყველაზე დარიბი ფენის დანახარჯი კვებაზე მათი შემოსავლის 80%-ია. დაბალი შემოსავლის და საკვებზე მაღალი დანახარჯის გამო ოჯახების უმეტესობას უძნელდება დამატებითი შემოსავლის გამომუშავება ინვესტირებისთვის, რაც მათ დაუცველს ხდის ეკონომიკურად რთულ პერიოდებში. უფრო მეტიც, რადგან საკვებზე გაწეული დანახარჯი მთლიანი დანახარჯის 60%-ს შეადგენს, სოფლის მცხოვრები პოტენციური რისკის წინაშე დგანან საკვების ფასების ცვლილების გამოც. (IFAD).

მთავრობის გადანაწილების პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოჯახების მიერ სილარიბის დაძლევის ეტაპზე. ოჯახები, რომელთა დღიური დანახარჯი ერთ სულზე 5 აშშ დოლარს შეადგენს, უკეთ არიან ინტეგრირებული მომსახურების სექტორში, განსაკუთრებით ისეთ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს, ვიდრე ის ოჯახები, რომელთა დღიური დანახარჯი ერთ სულზე 2.5-სა და 5 აშშ დოლარს შორის მერყეობს („სოციალურად დაუცველი ოჯახები“). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომლის ფოკუსია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტაბილური ზრდა, საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოფლიად სილარიბის დაძლევა სოფლის მეურნეობის და სოფლის მიმდებარე ტერიტორიების მდგრადი განვითარების მეშვეობით და ისეთი რისკფაქტორების აღმოფხვრის გზით, როგორიცაა ეკონომიკური არასტაბილურობა, გვალვა; აგრეთვე, ეს დოკუმენტი გულისხმობს კლიმატის ცვლილების პოტენციურად საზიან გავლენის შემცირებასა და გარემოს დაცვისკენ მიმართული პრევენციული და ადაპტაციის ზომების მიღებას.¹⁵

2.4. გენდერული ფაქტორებით განპირობებული მოწყვლადობა

სტიქიური უბედურებები სწრაფად და მოულოდნელად ხდება, ასე რომ, ყველა მოქალაქისთვის, იქნება ეს ქალი, კაცი, გოგონა თუ ბიჭი, მნიშვნელოვანია, მომზადებული შეხვდეს მსგავს მოვლენებს.

საქართველოში, სადაც ტრადიციული საზოგადოებაა, გადაწყვეტილების მიღებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კაცები დომინირებენ, ხოლო ოჯახი ქალის საქმეა. ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონშია ღრმად გამჯდარი სტერეოტიპები, რომლებიც ქალებთან შედარებით კაცებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ¹⁶ მსგავსი დამოკიდებულებები და სტერეოტიპები იხვევს უთანასხორობას რესურსების და თავისუფლების

¹⁵ http://www.preventionweb.net/files/43006_GEO_NationalHFAprogress_2013-15.pdf

¹⁶ <http://eeca.unfpa.org/publications/men-and-gender-relations-georgia>



კონტროლის საკითხებში, რომელთა შორისაა განათლება, ჯანდაცვა და ქონება. სხვადასხვა კვლევა ადასტურებს იმას, რომ სოციალური როლები საზოგადოებაში მეცნიერების განვითარება გენდერით, რის შედეგადც სხვადასხვა ინდივიდს სპეციფიკური ვალდებულებები და პასუხისმგებლობები ეკისრება.

სოფელში მცხოვრები ქალები, ძირითადად, სახლში რჩებიან. საოჯახო საქმეები, როგორიცაა: სახლის დალაგება, საჭმლის გაკეთება, მებალეობა და ბავშვების მოვლა – ქალების საქმედ მიიჩნევა, მაშინ როცა კაცები მძიმე ფიზიკურ შრომასთან ასოცირდებიან. მხოლოდ სამუშაო ასაკის კაცების მცირე რაოდენობა ახერხებს დასაქმებას შედარებით მაღალანაზღაურებად პოზიციებზე დიდ ქალაქებში და მათ სოფლის თემის დატოვება უწევთ, თუმცა კაცების უმეტესობა დასაქმებულია მთან საძოვრებზე და დროის დიდ ნაწილს სახლიდან შორს ატარებს, ხშირად რამდენიმე კვირის განმავლობაშიც კი.

კატასტროფა, როგორც წესი, გენდერულად ნეიტრალური არ არის და როდესაც ის ხდება, ქალები, კაცები, გოგონები და ბიჭები განსხვავებულ ზეგავლენას განიცდიან. აღნიშნული გარემოება მოითხოვს მოწყვლა-დობისა და რისკების გენდერული ასპექტების იდენტიფიცირებას, გენდერულად მგრძნობიარე ქცევისა და კულტურული მოდელების გამოვლენას, რაც ხელს უშლის სხვადასხვა გენდერული ჯგუფის ჩართულობას კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ აქტივობებში.¹⁷

2.5 კატასტროფის რისკის შემცირებისა და გენდერის პოლიტიკის აქტორები

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერით – მათ შორისაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროსთან არსებული სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, დედამინის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტი და სხვები – კატასტროფის მართვისა და მისი შედეგების შერბილების ინსტრუმენტების მეინსტრომინგს ახორციელებენ პოლიტიკასა და პრაქტიკაში.

ქვეყანაში არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს შორის, რომლებიც უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვას არეგულირებენ, სახელდება შემდეგი: 2017-2020 წწ. კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, 2015 წლის კანონი სახელმწიფო უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინირების შესახებ, 2014 წლის კანონი საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ,

¹⁷ http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20Capacity%20Assessment%20Report%20Georgia%202014.pdf

კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა.

2015 წელს საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის შესრულება 2016 წლის ივნისში დაიწყო. ღოკუმენტის თანახმად, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა ეტაპობრივად, დიალოგის გზით უნდა მიუახლოვდეს ევროკავშირის პოლიტიკასა და სამართლებრივ ჩარჩოებს და უნდა მოახდინოს მოცემულ დროში მათი ეფექტური განხორციელება, სხვა ინსტრუმენტებთან ერთად უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება, საწარმოო უძედურ შემთხვევათა პრევენცია და წყალდიდობებთან გამკლავება. 2014 წელს აჭარისა და ზემო სეანტოს რეგიონებისთვის მომზადდა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგიები, რომლებიც მოგვიანებით საქართველოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სტრატეგიაში გაერთიანდა. მასში ხაზგასმულია, ასევე, თანამშრომლობისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების აუცილებლობა ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავებისა და მათი შედეგების შერბილებისთვის, ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებული ცოდნის გაუმჯობესება და რისკების შეფასება კატასტროფების მართვის მიზნით, გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე კატასტროფების ზეგავლენის შემცირება. დასახლებების დონეზე საქართველო ასევე შეუერთდა კამპანიას „გავზიარდოთ ქალაქების მედეგობა“, რომელიც წარმოადგენს ინსტრუმენტს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე კატასტროფის რისკის შემცირებისთვის. აღნიშნულ კამპანიაში ჩართულები არიან ქალაქები – თელავი, გორი და თბილისი.

გადაწყვეტილების მიღების უმაღლეს დონეზე ორი ორგანო იქნება პასუხისმგებელი გენდერულ თანასწორობაზე – პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო და ადამიანის უფლებების საბჭოს დაქვემდებარებაში მოქმედი უზყებათაშორისი კომისია, რომელიც ფორმირების პროცესშია. ამჟამად არსებობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწერ ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. გენდერთან დაკავშირებული ეროვნული დოკუმენტებია: გენდერული თანასწორობის კონცეფცია, კანონი გენდერულ თანასწორობაზე, გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2014-2017) და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017).

3. კვლევის სტრუქტურა

ანგარშის პირველ ნაწილში მიმოხილულია საქართველოში კატასტროფის რისკის მართვისა და გენდერის თემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა პოლიტიკური და სტრატეგიული, აგრეთვე, სამართლებრივი დოკუმენტი. მეორე ნაწილი ეთმობა კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებს. ანგარშის ბოლო ნაწილი კი წარმოადგენს დასკვნებს და რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია საქართველოში კატასტროფის რისკების შემცირების სფეროში გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფა.

II კვლევის რიზაბი

1. მეთოდოლოგია

კვლევის კონკრეტული ამოცანებია:

- (1) იმ კონკრეტული პირობების, მოთხოვნებისა და/ან საჭიროებების გამოვლენა, რომლებიც გასათვალისწინებელია ადგილობრივ და ეროვნული დონეზე კატასტროფის რისკის მართვის გენდერულად ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში;
- (2) იმ ბარიერების და მოწყვლადობის ანალიზი, რომლებიც ხელს უშლის/აფერხებს ქალებს, აქტიურად ჩაებან კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ საქმიანობაში;
- (3) ქალებისა და კაცების ჩართვის შესაძლებლობების შესანვალა და განსაზღვრა, რაც კატასტროფისთვის მზადყოფნის და კატასტროფით გამოწვეული ზიანის შემარბილებელი აქტივობების შემუშავებისას გენ-დერული ასპექტების გასათვალისწინებლად იქნება გამოყენებული;
- (4) რეკომენდაციების შემუშავება კატასტროფის რისკის მართვაში ქალებისა და კაცების თანაბარი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. რეკომენდაციები გავრცელდება ეროვნული, რეგიონული და მუნიციპალური დონის პარტნიორებს შორის.

მოცემული კვლევა ჩატარდა ეროვნული და ადგილობრივი აქტორების შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით სენდაის სამოქმედო ჩარჩოს¹⁸ ოთხ პრიორიტეტში მოცემული ინდიკატორების გამოყენებით: 1) კატასტროფის რისკის გაანალიზება; 2) კატასტროფის მართვის სისტემის გაძლიერება კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით; 3) ინვესტიციის განხორციელება კატასტროფის რისკის შემცირებაში მდგრადობის მიზნით; 4) კატასტროფისთვის მზადყოფნის გაძლიერება, ეფექტური რეაგირებისა და „ხელახლა უკეთესი ხარისხით მშენებლობის“, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით; კვლევა ასევე ეყრდნობა გაეროს მდგრადი განვითარების ორ მიზანს¹⁹ – გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება (მიზანი 5) და ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება (მიზანი 11).

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაფილტვრა მოხდა სენდაის სამოქმედო ჩარჩოსა და მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით და თითოეულ მათგანთან მიმართებაში შემუშავდა რეკომენდაციები:

სენდაის ჩარჩო

| | |
|---------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პრიორიტეტი 1 | კატასტროფის რისკის გაანალიზება (გოგონებისა და ქალების ჩართულობა კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებში); |
| პრიორიტეტი 2 | კატასტროფის მართვის სისტემის გაძლიერება კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით (ქალების მონაწილეობა გაფანჯვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე, გენდერული პერსექტივა შესაბამისი ადგილობრივი დონის პოლიტიკასა და პრაქტიკაში და ქალების ლიდერული როლი); |
| პრიორიტეტი 3 | ინვესტიციის განხორციელება კატასტროფის რისკის შემცირებაში მდგრადობის მიზნით (ქალების ჩართულობა ინტეგრირებულ და მულტიდისციპლინურ მიდგომებში და კატასტროფის რისკის შემცირების, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და საარსებო წყაროებთან დაკავშირებული საკითხების გაერთიანება); |
| პრიორიტეტი 4 | კატასტროფისთვის მზადყოფნის გაძლიერება ეფექტური რეაგირების და „ხელახლა უკეთესი ხარისხით მშენებლობის“, რებილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით (ქალების უნარი, უპასუხონ კატასტროფებს და წვლილი შეიტანონ თემის მედეგობის ამაღლებაში გადაუდებელი სიტუაციების მართვის ყველა ფაზაში – კატასტროფამდე, კატასტროფის დროს და კატასტროფის შემდგომ პერიოდებში); |

მძგრადი განვითარების მიზანები

| | |
|------------------|-----------------------------------------------------------------------------------------|
| მიზანი 5 | გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება; |
| მიზანი 11 | ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება. |

18 http://www.unisdr.org/files/43291_sendaiframeworkfordrren.pdf

19 <http://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/>

ამასთანავე, კვლევის პროცესის ნაწილი იყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკის დოკუმენტებისა და სამართლებრივი ჩარჩოების ანალიზი:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საერთაშორისო შეთანხმებები გენდერულ თანასწორობაზე, რომელთა ხელმომწერიც არის საქართველო;
- კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია (2017-2020);
- გენდერული თანასწორობის კონცეფცია;
- საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;
- გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2014-16);
- საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმა (2016-17);
- 2015 წლის კანონი ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის შესახებ;
- 2014 წლის კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ;
- საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ;
- საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- მუნიციპალური განვითარების გეგმები და ბიუჯეტები.

2. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი განხორციელდა რამდენიმე, როგორც თვისებრივი, ისე, რაოდენობრივი, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტის გამოყენებით. თვისებრივი მიდგომიდან გამოყენებულ იქნა ფოკუს-ჯგუფის მეთოდი, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები და სამაგიდო კვლევა. რაოდენობრივი მიდგომა გულისხმობს გამოკითხვას გოგონებისა და ბიჭების ცოდნისა და გამოცდილების დონის შეფასების მიზნით. კვლევა განხორციელდა კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექვს მუნიციპალიტეტში – ქედაში, ხულოში, შუახევში, თელავში, თანავარისა და დუშეთში. აღნიშნული ექვსი მუნიციპალიტეტის შერჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეს თემები და თვითმმართველობები განისაზღვრა, როგორც ანალიზის საბოლოო პენეფიციარები და, ასევე, როგორც ერთობლივი რეკომენდაციების თანაავტორები. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა თემის 80-ზე მეტ წევრთან მოცემულ 6 მუნიციპალიტეტში და რესპონდენტები შეირჩა გენდერული და ასაკობრივი მონაცემების საფუძველზე, აგრეთვე, თემში მათი უფლებრივის სტატუსის მიხედვით. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ გაიმართა 6-ვე მუნიციპალიტეტის გამგებისა და საკრებულოს 14 ნარმომადგენელთან, ხოლო სამი ინტერვიუ ჩატარდა საგანგებო სიტუაციების მართვის 3 რეგიონულ ნარმომადგენელობაში. ამასთანავე, მონაცემები შეგროვდა ეროვნული დონის საჯარო და არასამთავრობო სექტორის 12 ნარმომადგენელთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზით. შერჩევა ეფუძნებოდა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე შესაფერისი კანდიდატების შერჩევას კატასტროფის რისკისთვის მზადყოფნის, მისი შედეგების შერბილებისა და რეაგირების საკითხებში მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. საველე გასვლები და ინტერვიუები 2 მკვლევრისგან შემდგარმა გუნდმა ჩატარა. კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა „ოქსფამისა“ და „ბრიჯის“ კატასტროფის რისკის შემცირების კლუბებში განვითარინებული ბიჭებისა და გოგონების გამოკითხვა კითხვარის მეშვეობით, ასევე, 6 მუნიციპალიტეტში. სულ 101 ადამიანმა განაცხადა თანხმობა, მონაწილეობა მიეღო გამოკითხვაში და შეევსო კითხვარი. აქედან 51 მონაწილე ნარმოადგენდა აჭარის მუნიციპალიტეტებს (ქედა, ხულო, შუახევი), ხოლო 50 მონაწილე ნარმოადგენდა თიანეთის, დუშეთისა და თელავის მუნიციპალიტეტების სოფლებს. რესპონდენტთა ასაკი 11-18 წლამდეა. ინტერვიუების შედეგები გაანალიზა და შესაბამისი ანგარიში მოამზადა 2 მკვლევრისგან შემდგარმა გუნდმა.

III სამაგირო პრევეზა

1. თავსეპადობა სენდაის სამოქმედო ჩარჩოსთან და მდგრადი განვითარების მიზნებთან

კატასტროფის რისკის მართვის სენდაის სამოქმედო ჩარჩო (2015-2030) 2015 წლის 18 მარტს მიიღეს გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე ქალაქ სენდაიში, იაპონიაში.²⁰ ეს დოკუმენტი არის დაინტერესებულ მხარეებს შორის 2012 წელს ჩატარებული კონსულტაციისა და 2014 წლის ივლისიდან 2015 წლის მარტამდე გამართული მთავრობათა შორის მოლაპარაკებების შედეგი, რომელსაც მხარი დაუჭირა გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების ოფისმა, გაეროს გენერალური ასამბლეის მოთხოვნით.

სენდაის ჩარჩო თავის სახელმძღვანელო პრინციპებს შორის აღიარებს გენდერის განზომილების მნიშვნელობას კატასტროფის რისკის მართვაში და მოუწოდებს ჩართულობისა და „მთლიანად საზოგადოების“ მონაწილეობისენ, რომლის ნაწილადაც შეიძლება განვიხილოთ გენდერიც. სენდაის სამოქმედო ჩარჩო მოუწოდებს ისეთი ფაქტორების ინტეგრირებას პოლიტიკასა და პრაქტიკაში, როგორიცაა: გენდერი, სქესი, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები და კულტურული ნიშნები; დოკუმენტი ასევე მხარს უჭერს ქალებისა და ახალგაზრდების ლიდერობას. ამ ყველაფერთან ერთად, დოკუმენტის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოქალაქეთა ორგანიზებულ, მოხალისეობრივ საწყისებზე დაფუძნებულ მუშაობას²¹.

სენდაის სამოქმედო ჩარჩოს მეოთხე პრიორიტეტი – კატასტროფისთვის მზადყოფნის გაძლიერება ეფექტური რეაგირებისა და „ხელახლა უკეთესი ხარისხით მშენებლობის“, რეაბილიტაციის და რეკონსტრუქციის მიზნით – ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად გამოყოფს მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ისეთი უფლებების მინიჭებას, რომელთა მეშვეობითაც ისინი საჯაროდ გაუძლვებიან და ხელს შეუწყობენ გენდერულად თანასწორი და უნივერსალურად ხელმისაწვდომი რეაგირების, აღდგენის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიდგომებს. მათ შორის, სენდაის სამოქმედო ჩარჩო ხაზს უსვამს პროგნოზირებისა და საფრთხის ადრეული შეტყობინების სისტემების ხელმისაწვდომობას, აგრეთვე, იმ ტექნოლოგიური საშუალებების შექმნის შესაძლებლობების აუცილებლობას, რომლებიც საზოგადოებისთვის ადრეული შეტყობინების სისტემებს უზრუნველყოფენ და მომხმარებელთა საჭიროებებს, კონკრეტულ სოციალურ გარემოს მოარგებენ, განსაკუთრებით კი გენდერის ფაქტორის გათვალისწინებით.

მოცემული ჩარჩო ხაზს უსვამს იმ როლს, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებულმა მხარემ შეიძლება ითამაშოს კატასტროფის რისკის მართვის ეფექტურიანობის ასამაღლებლად სხვადასხვა აქტივობაში ქალების ჩართულობისა და კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკაში, გეგმებსა და პროგრამებში გენდერული მგრძნობელობის გაზრდაში. ბავშვები და ახალგაზრდები განსაკუთრებით მნიშვნელოვან მხარეებს წარმოადგენენ, როგორც „ცვლილების აგენტები“, რომელსაც „უნდა მიეცეთ სამოქმედო სივრცე და პირობები, რათა წვლილი შეიტანონ კატასტროფის რისკის შემცირებაში, კანონმდებლობის, ეროვნული პრაქტიკის და საგანმანათლებლო კურიკულუმის შესაბამისად“.²²

სენდაის სამოქმედო ჩარჩოს პრიორიტეტები გამოიყენება, როგორც საორიენტაციო ინსტრუმენტები, ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობებისა და პოტენციალის შეფასებისთვის კატასტროფის რისკის შემცირების, თემის მედეგობის გაძლიერების საკითხებში და, ასევე, იმ კარტოგრაფიული არეალების განსაზღვრის მიზნით, სადაც უნდა მოხდეს ქალებისა და გოგონების წვლილის გაძლიერება:

პრიორიტეტი 1. კატასტროფის რისკის გაანალიზება – კატასტროფის რისკის მართვის პოლიტიკა და პრაქტიკი კა უნდა ეფუძნებოდეს კატასტროფის რისკის გაანალიზებას მოწყვლადობის, პოტენციალის, ადამიანებსა და აქტივებზე ზემოქმედების ყველა ასპექტის, საფრთხის მახასიათებლებისა და გარემოს დაცვის კუთხით.

პრიორიტეტი 2. კატასტროფის მართვის სისტემის გაძლიერება კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით – ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე კატასტროფის რისკის მართვის სისტემის გაძლიერება ძალზე მნიშვნელოვანია კატასტროფის რისკის ეფექტური და ეფექტური მართვისთვის. საჭიროა წათლად ჩამოყალიბებული ხედვა, გეგმები, კომპეტენცია, ხელმძღვანელობა და დარგებს შორის კოორდინაცია, აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.

პრიორიტეტი 3. ინგენიერული განხორციელება კატასტროფის რისკის შემცირებაში მდგრადობის მიზნით – კატასტროფის რისკის პრევენციისა და შემცირებისთვის საჯარო და ეკრძო ინვესტიციების განხორციელება სტრუქტურული და არასტრუქტურული ზომების მეშვეობით მნიშვნელოვანია ადამიანების, თემების, ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის და კულტურული, ასევე მათი აქტივების მდგრადობის გაძლიერებისა და გარემოს დაცვისთვის. ასეთი ზომები შესაძლებელია გახდეს ინოვაციის, ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის საშუალება. ეს ზომები ეკონომიკურად ეფექტურიანია და ხელს უწყობს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას, დანაკარგების თავიდან აცილებას და შემცირებას, ეფექტიანი აღდგენისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფას.

20 http://www.unisdr.org/files/43291_sendaiframeworkfordrren.pdf

21 http://www.unisdr.org/files/43291_sendaiframeworkfordrren.pdf

22 http://www.unisdr.org/files/43291_sendaiframeworkfordrren.pdf, p 28

პრიორიტეტი 4. კატასტროფისთვის მზადყოფნის გაძლიერება ეფექტიანი რეაგირებისა და „ხელახლა უკეთე-სი ხარისხით მშენებლობის“, რეაბილიტაციის და რეკონსტრუქციის მიზნით – კატასტროფის რისკის სტა-ბილური ზრდა, მათ შორის, ადამიანებისა და აქტივების მზარდი საფრთხის ქვეშ ყოფნა, რაც შეჯერებული იყო ადრე მომხდარი კატასტროფებიდან მიღებულ ცოდნასთან, მანიშნებს, რომ საჭიროა კატასტროფის-თვის მზადყოფნის შემდგომი გაძლიერება, რათა შესაძლებელი გახდეს მასზე რეაგირება, მოვლენათა წი-ნასამარ განსაზღვრის შემთხვევაში სათანადო მოქცევა, კატასტროფის რისკის შემცირების ინტეგრირება, როგორც საპასუხო რეაგირება, და ეფექტიანი რეაგირებისა და აღდგენის პოტენციალის უზრუნველყოფა ყველა დონეზე. ძალზე მნიშვნელოვანია მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისა და შეზღუდული შე-საძლებლობების მქონე პირთათვის უფლებების მინიჭება, რათა ისინი საკაროდ გაუძლვენ და ხელი შეუწ-ყონ გენდერულად თანასწორ და უნივერსალურად ხელმისაწვდომ რეაგირების, აღდგენის, რეაბილიტაციის და რეკონსტრუქციის მიდგომებს.

ზემოთ წარმოდგენილი ოთხი პრიორიტეტი მნიშვნელოვანია გენდერის ფაქტორის გათვალისწინებით:

პრიორიტეტი 1 – გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებით კატასტროფის რისკის მართვის შესაბამისი მონაცემების შეგროვება, ანალიზი, მართვა და გამოყენება და ფოკუსირება ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროებების შესწავლასა და ანალიზზე.

პრიორიტეტი 2 – ქალებისა და კაცების ჩართვა კატასტროფის რისკის მართვის სისტემაში ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. იმ ადგილობრივი სამართლებრივი ჩარჩოების, რეგულაციებისა და პოლიტიკის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა, რომლებიც სხვადასხვა როლის და პასუხისმგებლობის განსაზღვრით ახდენს საზოგადოების წახალისებას, სტიმულირებასა და ხელმძღვანელობას, რათა მათ, თავის მხრივ, მიი-ღონ ზომები და უპასუხონ კატასტროფის რისკებს.

პრიორიტეტი 3 – ქალები და კაცები ჩართულები არიან ინტეგრირებულ და მულტიდისციპლინურ მიდგომებ-ში და კატასტროფის რისკის შემცირება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და მოსახლეობის საარსებო საკითხების მოგვარება ერთიანი მიდგომით ხორციელდება.

პრიორიტეტი 4 – ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგონების შესაძლებლობები წახალისებულია იმისათვის, რომ ისინი გაუმჯობესდენ კატასტროფებს და წვლილი შეიტანონ კატასტროფების მიმართ მედეგი თემების ჩამოყალიბებაში კატასტროფის მართვის ყველა ფაზაზე – კატასტროფამდე, კატასტროფის პერიოდში და კატასტროფის შემდეგ.

2. მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების არსებული 17 მიზნიდან მოცემული კვლევა იყენებს მე-5 და მე-11 მიზნებს²³ და მათ სამიზნებს, როგორც საორიენტაციო კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობითაც მოხდება კატასტროფის რისკის შემცირება და მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკაში გენდე-რული ასპექტების გაძლიერება.

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება:

- ქალებისა და გოგონების ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრა;
- ქალების სრული და ეფექტური ჩართვის და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მათი ლიდე-რობისთვის გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე;
- რეფორმების განხორციელება ქალებისთვის ეკონომიკურ რესურსებზე თანაბარი უფლებების უზრუნ-ველყოფის მიზნით, ისევე როგორც საკუთრებისა და მინის კონტროლის ან სხვა ტიპის ქონების, ფინან-სური მომსახურების, მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების განკარგვის მიზნით, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ტექნოლოგიების, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გამოყენების გაზრდა ქალების დაწინაურებისა და გაძლიერების მიზნით;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ქალებისა და გოგონების უფლებამოსილებათა გაძლიერების მიზნით ჯანსაღი პოლიტიკის მიღება, გაძლიერება და აღსრულებადი სამართლებრივი ნორ-მების უზრუნველყოფა.

23 Transforming Our World the 2030 agenda for Sustainable Development



მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

- 2030 წლისთვის ყველასათვის უსაფრთხო, ფინანსურად ხელმისაწვდომი, მისაღები და მდგრადი სატრანსპორტო სისტემის უზრუნველყოფა, გზების უსაფრთხოების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის გაფართოება, მოწყვლად სიტუაციებში მყოფი ადამიანების, ქალების, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ასაკოვანი ადამიანების მოთხოვნილებებზე ყურადღების გამახვილებით.
- 2030 წლამდე სიკვდილიანობის მაჩვენებლებისა და იმ ადამიანების რაოდენობის შემცირება, რომლებ-საც კატასტროფების, მათ შორის, წყალთან დაკავშირებული კატასტროფების შედეგად მნიშვნელოვნად შეუმცირდათ ეკონომიკური შემოსავლები, რაც პირდაპირპროპორციულია გლობალურ დონეზე მთლიანი შიდა პროდუქტის კლებასთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ ამ შემთხვევაში ღარიბებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც მოწყვლად სიტუაციებში ცხოვრობენ;
- 2030 წლამდე ქალაქის ერთ სულ მოსახლეზე გარემოს უარყოფითი გავლენის შემცირება, მათ შორის, ყურადღების გამახვილება ჰაერის ხარისხსა და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვაზე;
- 2020 წლისთვის იმ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების რიცხვის გაზრდა, რომლებიც იღებენ და ახორციელებენ ინტეგრირებულ პოლიტიკასა და გეგმებს ჩართულობის, რესურსების ეფექტური მიმართ მედეგობის უზრუნველსაყოფად; აგრეთვე, კატასტროფის რისკის მართვისადმი კომპლექსური დამოკიდებულების განვითარება და განხორციელება ყველა დონეზე, სენდაის კატასტროფის რისკის მართვის 2015-2030 წლის ჩარჩოს შესაბამისად;
- ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ხელშეწყობა, მათ შორის, ფინანსური და ტექნიკური დახმარება, მდგრადი და მყარი შენობების აშენება ადგილობრივი მასალების გამოყენებით.

3. გენდერის განსაზღვრება და გენდერული მეინსტრიმინგი

გენდერული თანასწორობის შესახებ²⁴ საქართველოს კანონის თანახმად, გენდერი არის „სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე“. აღნიშნული



განმარტება შესაბამისობაშია საერთაშორისოდ გამოყენებულ ცნებებთან და წარმოდგენილია მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტში²⁵²⁶. გაეროს ქალთა ორგანიზაციის განმარტებით, გენდერი „არის სოციალური ატრიბუტების და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც ასოცირდება ქალობასთან და კაცობასთან და არის ქალებსა და კაცებს შორის, ბიჭებსა და გოგონებს შორის ურთიერთობა, ისევე როგორც ქალის ქალთან და კაცის კაცთან ურთიერთობა. აღნიშნული ატრიბუტები, შესაძლებლობები და ურთიერთობები სოციალურად დასწავლადია და ისნავლება სოციალიზაციის პროცესში“.²⁷ მაშინ, როდესაც გენდერული მექანიზმინგი „არ არის საპოლოო მიზანი, თავისთავად, არამედ ეს არის სტრატეგია გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად“. მექანიზრიმინგი გულისხმობს იმის უზრუნველყოფას, რომ გენდერული პერსპექტივა და გენდერული თანასწორობა უნდა იყოს მთავარი ყველა აქტივობის განხორციელებისას, როგორიცაა: პოლიტიკის განვითარება, კვლევა, ადვოკატირება/დიალოგი, კანონმდებლობა, რესურსების გამოყოფა და დაგეგმვა, იმპლემენტაცია და პროგრამებისა და პროექტების მონიტორინგი²⁸. „ოქსანის“ განმარტებით, გენდერული მექანიზრიმინგი „არის სტრატეგია, რომლის მიზანია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა უფლებების წინ წამოწევა გენდერული საჭიროებების გათვალისწინებით, ორგანიზაციულ პოლიტიკასა და აქტივობებში გენდერული შესაძლებლობების გაჩენითა და პასუხისმგებლობის ამაღლებით (მათ შორის, პოლიტიკისა და პროგრამის შემუშავება და განხორციელება; ადვოკატირება; ორგანიზაციულ კულტურა და რესურსების გამოყოფა) და, ამგვარად, საფუძვლიან ორგანიზაციულ ტრანსფორმაციაში წვლილის შეტანა“.²⁹

4. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობა

4.1. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პოლიტიკა და სამართლებრივი დოკუმენტები

გასული ორი ათწლეულის მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა იმ პოლიტიკისა და სამართლებრივი ნორმების შესაქმნელად, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პრინციპების უზრუნველყოფას. გენდერული თანასწორობა განხილულია 1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში³⁰.

25 Council of Europe. 2011. Definitions, Istanbul convention.

26 UN. 2014. Women's Rights are Human Rights.

27 <http://www.un.org/womenwatch/osagi/conceptsanddefinitions.htm>

28 <http://www.un.org/womenwatch/osagi/gendermainstreaming.htm>

29 <http://policy-practice.oxfam.org.uk/publications/oxfam-minimum-standards-for-gender-in-emergencies-305867>

30 https://www.constituteproject.org/constitution/Georgia_2013.pdf?lang=en

კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“.

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია³¹. აღნიშნული დოკუმენტი ეყრდნობა საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებსა და ინსტრუმენტებს, რომელთა ხელმძღვანელიც არის საქართველო და რომელიც ქართული საკანონმდებლო ჩარჩოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამ დოკუმენტით საქართველოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს ქალთა და კაცთა თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების ეფექტიანი განხორციელება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და განახორციელებს გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას, რომლის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება ამ კონცეფციით. გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისას, ეროვნული კანონმდებლობის, ადმინისტრაციული და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების აღსრულებისას და სახელმწიფო სტრატეგიული პროგრამების განხორციელებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ანგარიშგებისა და მონიტორინგის სისტემების ჩამოყალიბებასა და განხორციელებას.

შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გენდერული თანასწორობის სტრატეგია³² და სამოქმედო გეგმა (2014-2016)³³. აღნიშნული დოკუმენტი სახალხო დამცველის ოფისმა შეიმუშავა. საქართველოს სახალხო დამცველის ოფიში მოცემული დოკუმენტი გამოიყენება, როგორც გენდერულ საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელო, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და დისკრიმინაციის დასაძლევად მათი კომპეტენციის ფარგლებში.

2010 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ³⁴. კანონი ადგენს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს. ამავდროულად, კანონის მიზნებს შორისაა:

უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას. ამ კანონის თანახმად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს და უზრუნველყოს ქალისა და კაცის თანასწორი უფლებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში; ქალისა და კაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე, პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფალად არჩევა, პროფესიული მომზადება/გადამზადება, თანაბარი პირობები ჯანდაცვაზე, სოციალურ უსაფრთხოებაზე ხელმისაწვდომობის მიზნით და სხვა. კანონის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგს და რეაგირებს გენდერული თანასწორობის დარღვევაზე. კანონის თან ახლავს ეროვნული სამოქმედო გეგმა. 2014-2016 წლების ეროვნული³⁵ სამოქმედო გეგმა აღნერს კონკრეტულ გზებს, რათა არსებულ საკანონმდებლო რეგულაციები უზრუნველყოფილი იყოს გენდერული თანასწორობა. აღნიშნული დოკუმენტის პირველივე ნაწილში საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას ეკისრებათ ვალდებულება, მოახდინონ არსებული კანონების გენდერული ანალიზი და უზრუნველყონ გენდერული თანასწორობის საერთაშორისო სტანდარტებთან ქართული კანონმდებლობის პარმონიზება.

დოკუმენტი, რომელიც გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას შეეხება, არის საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის.³⁶ ზოგადად, მოცემული სტრატეგიის უმთავრესი მიზანია სისტემური მიღების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინდივიდთა უფლებების უზრუნველყოფაზე ორიენტირებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების აუცილებლობის განხილვისას დოკუმენტი განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მოქალაქეთა მოლოდინებისა და საჭიროებების შესწავლის და, მეორე მხრივ, მთავრობის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებების აღებისა და განხორციელების აუცილებლობას. მაგალითისთვის, სტრატეგია ყურადღებას ამავილებს ქალისა და კაცის განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებაზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, რათა დაძლეულ იქნას გენდერული უთანასწორობის შედეგად ადამიანის უფლებათა დარღვევის პრაქტიკა.

დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ მიმართული შემდეგი სამართლებრივი ინსტრუმენტია საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.³⁷ კანონის თანახმად, ისეთ მახასიათებლებთან

31 www.parliament.ge/files/98_12977_250758_concept_gender_E.doc

32 <https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUUzRjWIFVV3B1am8/view>

33 <https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUUzRjWIFVV3B1am8/view>

34 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

35 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622>

36 http://gov.ge/files/429_51454_924779_STRATEGYENG.pdf

37 <https://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1662.pdf>

ერთად, როგორიცაა: რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, წარმოშობა, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, რელიგია ან რწმენა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, პროფესია, ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, სექსუალური ორიენტაცია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებები – დასახელებულია გენდერული იდენტობა და გამოხატვა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი ტიპის დისკრიმინაცია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით შემუშავდა პროგრამული ბიუჯეტი. ბრძანების თანახმად, გენდერულად მგრძნობიარე პროგრამების შემთხვევაში აუცილებლად უნდა განხორციელდეს გენდერული ინდიკატორების შეფასება.³⁸ 2015 წელს აღნიშნული ბრძანება განახლდა, თუმცა ბუნდოვანია, რა იგულისხმება ინდიკატორებში და რის შეფასებას გულისხმობს ის. შემდეგი ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში განხორციელდა, კერძოდ კი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ტასოს“ მიერ გაეროს ქალთა ფონდის მხარდაჭერით, და გულისხმობის გენდერული მეინსტრიმინგის დაცვას საქართველოს ხუთი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში. სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული კვლევის თანახმად, „გენდერული ბიუჯეტირების ინიციატივის განხორციელება 4 რეგიონში საწყის ეტაპზეა. ამჟამად, ბიუჯეტის სისტრუქტურიზაციის წაცვლად, ის უფრო არარეგულარული ბიუჯეტირების მაგალითს წარმოადგენს“.³⁹

4.2. საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ინსტიტუციური მექანიზმები

გასულ ათწლეულში, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ეროვნულ დონეზე მთელი რიგი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმი შეიქმნა. ორი ყველაზე მაღალი დონის ინსტრუმენტი სამართლებრივ და აღმასრულებელ შტოებში 2004-2005 წლებიდან არსებობს. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ორივეს აერთიანებს.

2004 წლის ოქტომბერში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, რომელიც პარლამენტის სპიკერის დაქვემდებარებაშია. განსაკუთრებული ზომები იქნა მიღებული გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად საბჭოს წევრ პარლამენტარებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის. საბჭოს მანდატი გულისხმობს არსებული კანონმდებლობის ანალიზს, ახალი კანონების შექმნასა და ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას გენდერული თანასწორობის მიმართულებით. საბჭო აქტიურადაა ჩართული გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის (მათ შორისაა კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ), აგრეთვე, სამოქმედო გეგმების შემუშავებაში (მაგალითად, 2014-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა⁴⁰). საბჭოს შესახებ ინფორმაცია 2010 წლის კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც 2016 წელს განახლდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელია აღმასრულებელ დონეზე გენდერთან დაკავშირებული საკითხების მართვაზე. ამასთანავე, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას მოახდენენ საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო და ადამიანის უფლებათა საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებათაშორისი კომისია, რომელიც ამჟამად ფორმირების პროცესშია. კომისია, სხვა საკითხებთან ერთად, პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე, ეროვნული სამოქმედო გეგმების განმახორციელებელი შესაბამისი სააგენტოების კოორდინაციასა და მონიტორინგზე და სამთავრობო პოლიტიკაში გენდერულ მეინსტრიმინგზე. უწყებათაშორისი კომისია შეითავსებს საკონდინაციო ორგანოს ფუნქციებს ე. წ. სტამბოლის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად. კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, „მხარეები დაასახელებენ ან ჩამოაყალიბებენ ერთ ან მეტ ოფიციალურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სხვადასხვა პოლიტიკის და ინსტრუმენტების კოორდინირებაზე, იმპლემენტაციასა და მონიტორინგზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ძალადობის ყველა ის ფორმა, რომელსაც კონვენცია განიხილავს. ორგანოები თანაკოორდინირებას გაუწევენ მონაცემთა შეგროვებას, როგორც ეს მე-11 მუხლშია განხილული, ანალიზს და შედეგების გავრცელებას“.⁴¹

სახალხო დამცველის ოფისში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი 2013 წლის 15 მაისს შეიქმნა.⁴² დეპარტამენტის შექმნას საფუძვლად უდევს 2001 წლიდან ბავშვთა და ქალთა უფლებების დაცვის ცენტრის საქმიანობა. დეპარტამენტი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებით და ხელშეკრულებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს სახალხო დამც

38 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385.

39 ACT. 2016. სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება. თბილისი, შპს „ფაუნტეინ ჯორჯია“

40 ეროვნული სამოქმედო გეგმა (ესგ) 2014-2016 განსხვავდება სახალხო დამცველის 2014-2016 სამოქმედო გეგმისგან.

41 <http://www.coe.int/fr/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210/signatures>

42 ⁴²<http://www.ombudsman.ge/en/specializrebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/genderuli-meinstrimi-saxalxo-damcvelis-aparatshi>



ველის შესახებ⁴³, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით“ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გენდერული თანასწორობის სფეროში.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული თანასწორობის მექანიზმების შესაქმნელად საქართველოს პარლამენტს წარედგინა ინიციატივა შესაბამისი ცვლილებების შესატანად საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ.⁴⁴ ამჟამად ზოგიერთ ადგილობრივ თვითმმართველობაში, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივით, ჰყავთ მრჩევლები გენდერული თანასწორობის საკითხებზე, მაგრამ „აუცილებელია მათ ჰქონდეთ გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება, შესაძლებლობა და უფლებამოსილება“.⁴⁵

საერთო შეფასებით, საქართველოს მთავრობამ დიდი ძალისხმევა გასწია გენდერული თანასწორობის კანონმდებლობის შესაქმნელად. არსებობს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც საერთაშორისო ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის პარმონიზების მონიტორინგს ანარმოებენ, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მიღწეული. გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების მექანიზმები და ცვლილებების პაკეტი საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების“⁴⁶ პროექტის ფარგლებში, რომელიც ბიუჯეტირების პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვასა და გათვალისწინებას ეფუძნება. ეს არის ერთ-ერთი კონკრეტული საშუალება თანასწორობის პოლიტიკის გასატარებლად და ეფექტიანი მექანიზმი კაცებისა და ქალების ჩასართვად პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

ამავე პროექტის ნაწილია კანონპროექტი სტატიისტიკის შესახებ, რომლის ერთ-ერთი ქვეპუნქტი გულისხმობს სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების ვალდებულებას. ალნიშნული კანონპროექტის ლობირება განხორციელდა საქართველოს პარლამენტში და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტატიისტიკის დეპარტამენტისთვის შემუშავდა გენდერის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შემუშავებისთვის საჭირო ინდიკატორები.

განხორციელდა, ასევე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გენდერული ანალიზი ფოთში, რუსთავსა და ქუთაისში ქალებსა და კაცებზე ადგილობრივი ბიუჯეტის გავლენის შესასწავლად, ადგილობრივი საბჭოების როლის განსასაზღვრად ბიუჯეტის და სხვა პრიორიტეტების შემუშავების საკითხებში. თუმცა, გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშის თანახმად, მთავრობის დამოკიდებულება რეკომენდაციებთან მიმართებაში იყო პასიური და გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ინიციატივაზე ვერ მიიღო შესაბამისი აღიარება ეროვნულ დონეზე ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან. რეკომენდაცია გენდერული თანასწორობის

43 <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1176.pdf>

44 არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, „ოქსფოდის“ მხარდაჭერით

45 ACT. 2016. სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება. თბილისი, შპს „ფაუნტეინ ჯორჯია“

46 UNDP გენდერული ბიუჯეტირების ინიციატივა საქართველოში http://www.parliament.ge/files/1099_17471_211787_6.pdf

ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გენდერზე ორიენტირებული სოციალური და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინების თაობაზე ასევე უარყოფილია.⁴⁷ გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშის თანახმად, ეს ინიციატივა დადებითად აღიქვეს ადგილობრივ დონეზე, ქუთაისში, ფოთსა და რუსთავში – იქ, სადაც მათი პილოტირება მოხდა. საპილოტე პროგრამა მხოლოდ ამ სამ მუნიციპალიტეტში განხორციელდა და მათი დატესტვა ამ კვლევის სამიზნე რეგონებში ჯერ არ მომხდარა. უფრო კონკრეტულად კი, მნიშვნელოვანი იქნებოდა თანამდევი თემების განვითარებაც კატასტროფის რისკის შემცირებაში ბიუჯეტირებისა და დაგეგმვის კუთხით გენდერული მეინსტრიმინგის განსახორციელებლად.

4.3. გენდერული სტერეოტიპები

საქართველოს უმეტეს ადგილას კულტურული და ეთნიკური საფუძვლები განსაზღვრავს ქალისა და კაცის როლებს თემში და გავლენას ახდენს კატასტროფის წინარე მოსამზადებელ და კატასტროფის რისკის შემარბილებელ სამუშაოებში მათ ჩართვაზე. როგორც კაცებისთვის, ისე ქალებისთვის განსაზღვრულია გარკვეული როლები, რაც ზღუდავს მათ სრულ და მოქნილ ჩართულობას თემის ცხოვრებაში.

საზოგადოების წევრების შეხედულებებით, ოჯახური ცხოვრება, ბავშვების აღზრდა, ავადმყოფთა და მოხუცებულთა მოვლა და სახლის საქმე ქალის ფუნქციებში შედის, მაშინ როდესაც კაცების ფუნქციებს შორისაა საზოგადოებრივი განვითარება და შემოსავლების გამომუშავება. ითვლება, რომ კაცი არის ოჯახის მარჩენალი და ოჯახს და საზოგადოებას ის მიაჩნია მაღალი უნარების მქონედ კარიერისთვის, უკეთესი შემოსავლის მიღებისთვის, თემისა და ბიზნესის განვითარებაში წვლილი შეტანისთვის. უფრო კონკრეტულად, გაეროს განვითარების პროგრამის კვლევაში „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები პოლიტიკასა და ბიზნესში გენდერული თანასწორობის შესახებ“⁴⁸ მიმოხილულია გენდერული სტერეოტიპები ქართულ საზოგადოებაში: დაადასტურებულია, რომ იდეალურ შემთხვევაში ოჯახის მარჩენალი უნდა იყოს კაცი (88%). გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავარი გადაწყვეტილების მიმღები პირი ოჯახში კაცი უნდა იყოს (48%-იდან მხოლოდ 2%-ს მიაჩნია, რომ ქალი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას) და გამოკითხულთა 92% იზიარებს მოსაზრებას, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში არის ოჯახზე ზრუნვა, ხოლო გამოკითხულთა 72%-ის აზრით, კაცის საქმეა მუშაობა და ოჯახის შემოსავლით უზრუნველყოფა. ზოგადად, მიიჩნევა, რომ კაცები მეტად წარმატებულები არიან სახლის გარეთ ფულის გამომუშავების და ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხში, ხოლო ქალები სახლში უკეთ ასრულებენ თავიაზნ სოციალურ როლს. ასეთი ტრადიციული დამოკიდებულებები კაცისა და ქალის მოვალეობების მიმართ ზღუდავს ქალების ჩართულობას სოციალურ აქტივობებსა და თემის განვითარებაში.

არსებობს კონკრეტული სტერეოტიპები, რომლებიც გავლენას ახდენს სამუშაოს განაწილებაზე ოჯახში ქალებსა და კაცებს შორის და განსაზღვრავს კონკრეტულ საქმიანობას, როგორც ცალკე ქალის და ცალკე კაცის საქმედ, ზღუდავს ქალების გადაადგილებას თემის შიგნით და გარეთ და აფერხებს მათ მონაწილეობას თემის შეხვედრებში. თემის თავყრილობებში მონაწილეობის შემთხვევაშიც კი ქალებს ხშირად არ ეძლევათ უფლება, გამოთქვან აზრი თავიაზნ პრობლემებსა და საჭიროებებზე. მათ ყოველთვის არ მიუწვდებათ ხელი თემის განვითარების შესაძლებლობებზე და არ აქვთ უფლება, ჩართონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან ეს როლები კაცებისთვისა განსაზღვრული შედეგად, ის ცოდნა და ინფორმაცია, რომელსაც ისინი მარწობითი სქესის ოჯახის წევრებისგან იღებენ, არის არასრული და დანაწევრებული, თანაც კაცის თვალთახედვით არის მიწოდებული.

საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპები, რომლებიც გავლენას ახდენს სამუშაოს განაწილებაზე ოჯახში ქალებსა და კაცებს შორის და განსაზღვრავს კონკრეტულ საქმიანობას, როგორც ცალკე ქალის და ცალკე კაცის საქმედ, ზღუდავს ქალების გადაადგილებას თემის შიგნით და გარეთ და აფერხებს მათ მონაწილეობას თემის შეხვედრებში. თემის თავყრილობებში მონაწილეობის შემთხვევაშიც კი ქალებს ხშირად არ ეძლევათ უფლება, გამოთქვან აზრი თავიაზნ პრობლემებსა და საჭიროებებზე. მათ ყოველთვის არ მიუწვდებათ ხელი თემის განვითარების შესაძლებლობებზე და არ აქვთ უფლება, ჩართონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან ეს როლები კაცებისთვისა განსაზღვრული შედეგად, ის ცოდნა და ინფორმაცია, რომელსაც ისინი მარწობითი სქესის ოჯახის წევრებისგან იღებენ, არის არასრული და დანაწევრებული, თანაც კაცის თვალთახედვით არის მიწოდებული.

საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპები პროფესიებსაც ეხება.⁴⁹ ქალები ხშირად ასოცირდებიან ბავშვის მომვლელებთან, მასნავლებლებთან და რადგან, ტრადიციული მოდელის თანახმად, მათ ასევე უწევთ ავადმყოფების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ოჯახის ასაკოვანი წევრების მოვლა, ქალებთან ასოცირებულ პროფესიათა შორისაა ექიმი, სანიტარი და ფარმაცევტი. მცირე ბიზნესიც, საზოგადოების თვალთახედვით, შეიძლება იყოს ქალის დასაქმების არეალი ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სილამაზის სალონი, კოსმეტიკით ან ტანსაცმლით ვაჭრობა, რესტორანი და კერძო სკოლა ან საბავშვო ბალი. რაც შეეხება კაცებს, ისინი ისეთ პროფესიებთან და სამუშაოებთან ასოცირდებიან, რომლებსაც ძლიერ ფიზიკური მონაცემები ესაჭიროება, როგორიცაა, მაგალითად: ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ტექნიკური გადაწყვეტილებები, სანტექნიკოსი, ტრაქტორის მძლოლი, ინჟინერი, არქიტექტორი ან გადაწყვეტილების მიმღები პირი თუნდაც მუნიციპალურ დონეზე. მუნიციპალიტეტში ხელმძღვანელ პოზიციაზე ქალი, ისევე როგორც კაცი სანიტარი, არცთუ ხშირია დღევანდელ საქართველოში.

ქალების ქცევას აკონტროლებენ კაცები და მთელი საზოგადოება. საზოგადოებაში ისევ ძლიერადაა გაბატონებული ორმაგი სტანდარტის მორალი – რაც ეპატიება კაცს, არ ეპატიება ქალს. კაცებისთვის მისაღებია ქუჩაში ღამით სიარული, აქტიური სოციალური ცხოვრება, სიგარეტის მონევა, მაგარი ალკო-

⁴⁷ UNDP გენდერული ბიუჯეტირების ინციდივა საქართველოში http://www.parliament.ge/files/1099_17471_211787_6.pdf

⁴⁸ http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/public-perceptions-on-gender-equality-in-politics-and-business.html

⁴⁹ მასნავლებლთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, 2013. ქალთა ფონდი საქართველოში. [http://www.womenfundgeorgia.org/?48/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98%&lan=ge](http://www.womenfundgeorgia.org/?48/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%95%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%98%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/)



ჰოლური სასმლის მოხმარება, ქორწინებამდე ოჯახისგან განცალკევებით ცხოვრება, მაშინ როცა ქალების მსგავსი ქცევები მიუღებლად ითვლება. საზოგადოება უფრო ადვილად პატიობს დანაშაულს კაცს, ვიდრე ქალს.

ოჯახში ძალაუფლების განაწილება ოჯახის თითოეული წევრის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე ახდენს გავლენას. კაცებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის წევრები მას აღიქვემდნენ, როგორც ოჯახის უფროსს და ლიდერს. ქალების სუბორდინაციული როლი ოჯახში და ნებისმიერი შეზღუდვა უარყოფითად აისახება მათ თვითშეფასებაზე და ამცირებს მათ ამბიციებს. მარტოხელა, დაუქორწინებელ და უფრო პროგრესულ ქალებს ან იმ ქალებს, რომლებიც სათავეში უდგანან ოჯახებს, ნაკლებად აკონტროლებენ კაცები და მათ მეტი უფლება აქვთ ეკონომიკური გადახყვეტილებების მისაღებად. თუმცა ქართული საზოგადოება მიიჩნევს, რომ ქორწინება აუცილებელია, ცხოვრება ქორწინების გარეშე არ არის დამაკაყოფილებელი და, შესაბამისად, ნარუმატებელ ქორწინებაში ყოფნას ამჯობინებს, ვიდრე ქორწინების გარეშე ცხოვრებას. ზემოხსენებული პრობლემური საკითხების გამო ქალები ნაკლებად ამბიციურები არიან, აქვთ დაბალი თვითშეფასება და მხოლოდ ტრადიციულ გენდერულ ფუნქციებს ასრულებენ ოჯახში, მაშინ როდესაც კაცები ხშირად დგანან იმ გამოწვევის წინაშე, რომ ვერ აქმაყოფილებენ ოჯახისა და საზოგადოების ისეთ მოლოდინებს, როგორიცაა ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, რადგანაც მაღალია უმუშევრობის დონე და ძნელია სამუშაოს პოვნა სათანადო ანაზღაურებით.

ზოგადად, კაცები სოციალურად უფრო აქტიურები არიან და ნაცნობების უფრო ფართო წრე ჰყავთ, რაც მათ სამუშაოს მოძებნასა და ბიზნესის წამოწყებაში ეხმარებათ, თუმცა დღეს უფრო მეტი კაცია ჩართული ოჯახურ ცხოვრებაში და ქალებთან ერთად ინაწილებს ოჯახურ ვალდებულებებს. ამასთან, ქალების საზოგადოებრივი აქტიურობაც უფრო მისაღები ხდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგიერთ თემსა და ოჯახში პროგრესულ ცვლილებებს დადებითი შედეგი მოაქვს, ხოლო ზოგან ეს კაცის ცინიკურ დამოკიდებულებას და წინააღმდეგობას იწვევს. იმავდროულად, ზოგიერთი ქალი, ტრადიციულად, იმ მენტალობით იზრდება, რომ უნდა ემორჩილებოდეს კაცს, რომელიც მას და მის ოჯახს დაიცავს და მოუვლის. ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ ხშირად არასწორად ესმით და უარყოფით განწყობებს იწვევს, რადგან ის ქალების აგრესიულ აქტივიზმსა და ზედმეტ აქტიურობასთან ასოცირდება.⁵⁰

რაც შეეხება ბავშვებსა და ახალგაზრდებს, ითვლება, რომ ბიჭების განათლებაში ინვესტიციის ჩადება მნიშვნელოვანი და საჭიროა, რადგან სწორედ ისინი არიან ოჯახის მომავალი მარჩენალები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ოჯახის შემოსავალსა და კეთილდღეობაზე, მათ შორის, ასაკოვანი მშობლების ფინანსურ უზრუნველყოფაზე. გოგონებს ამზადებენ, უმეტესად, ავადმყოფთა და ოჯახის ასაკოვან წევრთა ფიზიკურ მომვლელებად და ოჯახში მათ პირდაპირ განსაზღვრული აქვთ მომვლელის როლი.

⁵⁰ მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, 2013. ქალთა ფონდი საქართველოში. http://www.womenfundgeorgia.org/?48/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/&lan=ge

5. კატასტროფის რისკის შემცირების კანონმდებლობა და პოლიტიკა

საქართველოში მოქმედებს საკმაოდ დახვეწილი კანონმდებლობა კატასტროფისთვის მზადებასა და მართვასთან და ქვეყნის საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნასთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია⁵¹ წარმოადგენს საბაზისო დოკუმენტს კონკრეტული სტრატეგიებისა და გეგმებისთვის, რომელთა განახლებაც ხდება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან ერთად. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობა მიმართავს ზომებს ფუნდამენტური ეროვნული ლირებულებებისა და ეროვნული ინტერესების წინ ნამოწევისა და, აქედან გამომდინარე, მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, რათა ადეკვატურად უპასუხოს ქვეყნის წინაშე მდგარ რისკებს, საფრთხეებსა და გამოწვევებს (მათ შორის, გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებს). ეროვნულ ინტერესებს შორის, დოკუმენტში ხაზგასმულია ეროვნული ერთობის გაძლიერების აუცილებლობა და სამოქალაქო მზადყოფნა და ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, „რომელიც ეფუძნება კანონის წინაშე თანასწორობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და, რასის, ენის, სქესის, რელიგიის, რაიმე ჯგუფისადმი კუთვნილების, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების განურჩევლად, ადამიანთა თანასწორობის პრინციპებს...“

შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც განხილვას საჭიროებს, არის საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია⁵² და სამოქმედო გეგმა, რომელიც ეყრდნობა 2015-2018 წლებში განხორციელებულ საქართველოს საფრთხეების შეფასებას და კანონს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა დაგეგმვისა და კოორდინირების წესის შესახებ. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ კატასტროფები უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მის მდგრად განვითარებაზე. სხვადასხვა საკითხთა შორის, აღნიშნული დოკუმენტი საუბრობს მსგავს სიტუაციებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.

საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ⁵³ განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემადგენელ სფეროებს, მისი დაგეგმვის და კოორდინაციის პროცესს და მაკომინატული უზყვებების უფლებამოსილებებს. ამ კანონის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემადგენელ სფეროებს შორისაა ეკოლოგიური და ენერგეტიკული უსაფრთხოება და ამ მიმართულებით საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენა, იდენტიფიცირება, შეფასება და პროგნოზირება. ამავე კანონის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, რომელიც წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს და უშუალოდ მას ექვემდებარება, აანალიზებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ორგანიზებას უზევს უსაფრთხოების კუთხით საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფოს თავდაცვისა და მართლწესრიგის სფეროში სახელმწიფო სტრატეგიებისა და მათი განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავებას; კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას უწევს სახელმწიფოს თავდაცვის, უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის სფეროში საქართველოს სამინისტროების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის და სხვა სახელმწიფო უზყვებების საქმიანობას და აძლევს მათ შესაბამის რეკომენდაციებს და ა. შ. აღნიშნული კანონი ხაზს უსვამს საქართველოს მოქალაქეებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონის⁵⁴ მიზანია საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირება და საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე, სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის, ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების და გარემოს დაცვა. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შექმნისა და საქმიანობის წესს.

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის⁵⁵ შესახებ კანონი განსაზღვრავს ცნებას „საქართველოს მთავრობა“ და ადგენეს მთავრობის სტრუქტურას, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოები და, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო (და ეკონომიკური საბჭო) ამავე კანონით რეგულირდება (29⁽¹⁾-ე მუხლი).

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი⁵⁶ განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე

51 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156>

52 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3547798>

53 <https://matsne.gov.ge/ru/document/download/2764463/1/en/pdf>

54 <https://matsne.gov.ge/en/document/download/2363013/2/en/pdf>

55 http://meca.gov.ge/itst/_FILES/files/law_government_eng.pdf

56 <https://matsne.gov.ge/en/document/download/2244429/15/en/pdf>

სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს. ამ კანონის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარების მიზნით, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ოჯახში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია გენდერული მეინსტრომინგი კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკაში, რომელიც დაიწყო 2017 წლის იანვარში განახლებული კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის⁵⁷ სახით და რომელშიც საქართველოს მთავრობა თავის პრიორიტეტებს შორის ასახელებს გენდერული თანასწორობის აუცილებლობას კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკის გატარებისას ქვეყანაში ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. სტრატეგია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქალების ჩართულობა მოსამზადებელ სამუშაოებში და, ასევე, მათი სპეციფიკური საჭიროებები, როგორიცაა ფეხმძიმე ქალის საჭიროებები, გათვალისწინებულ უნდა იქნას (მუხლი 3.12).

6. საველე კვლევა

საველე სამუშაო ორ ეტაპად იყო დაყოფილი. პირველი ეტაპი 18 დღეს გრძელდებოდა (2016 წლის 28 ოქტომბრიდან 14 ნოემბრამდე), რომლის დროსაც კვლევის თვისებრივი ნაწილი განხორციელდა. აღნიშნული დრო დასჭირდა რეგიონებში ფოკუს-ჯგუფებისა და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების ჩატარებას როგორც თბილისში, ისე რეგიონებული მუნიციპალიტეტების თვითმმართველ ორგანოებში. თითოეულ მუნიციპალიტეტში (ქედა, ხულო, შუახევი, თელავი, დუშეთი და თიანეთი) თითო ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან, აგრეთვე, ჩატარდა ინტერვიუები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. ყოველი ვიზიტის დროს მკვლევარი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამუშაოზე, ლოკისტიკურ და ორგანიზაციულ დახმარებას იღებდა „ოქსფამისა“ და „ბრიჯის“ პროექტის მენეჯმენტისა და, ასევე, მუნიციპალიტეტების კატასტროფის რისკის შემცირების რესურსცენტრების წარმომადგენლებისგან.

ეროვნულ სამთავრობო და არასამთავრობო აქტორებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო „ოქსფამისა“ და „ბრიჯის“ პროექტის მენეჯმენტის გუნდი.

კვლევის რაოდენობრივი ინსტრუმენტი „ოქსფამის“ და „ბრიჯის“ წარმომადგენლებმა მოამზადეს და მისი ადმინისტრირება თემის ადგილობრივმა კოორდინატორებმა განახორციელებს ახალგაზრდულ კლუბებში. ეს არის ადგილები არაფორმალური, სკოლის გარეთ განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის თემებში კატასტროფების შესახებ, კატასტროფის რისკის შემცირების, წყლის რესურსების მართვის, ნარჩენების მართვისა და გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეკოკლუბები განათავსებულია კატასტროფის რისკის შემცირების რესურსცენტრებში. მათ საქმიანობაში ხელს უწყობენ რესურსცენტრის კოორდინატორები სამიზნე მუნიციპალიტეტებში. გამოყითხვის შედეგები ავსებს ზრდასრული მოსახლეობისგან ფოკუს-ჯგუფებისა და მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ეს არის აღნიშნული კვლევის მეორე ფაზა, რომელიც 2017 წლის 2-7 თებერვალს განხორციელდა.

რეგიონებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების შედეგები, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუები და გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია გენდერისა და კატასტროფის რისკის შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზით შეივსო. დამატებით, მკვლევრებმა მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმები და ბიუჯეტები შეისწავლეს.

IV მთავარი მიზნები

1. ფოკუს-ჯგუფის, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებისა და ქედის, ხულოს, შუახევის, თიანეთის, დუშეთისა და თელავის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული კლუბების წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგები

პრიორიტეტი 1. კატასტროფის რისკის გაანალიზება

კატასტროფის რისკის მართვის პოლიტიკა და პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს კატასტროფის რისკის გაანალიზებას მოწყვლადობის, პოტენციალის, ადამიანებსა და აქტივებზე ზემოქმედების, საფრთხის მახასიათებლების და გარემოს დაცვის ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზის შესაძლებლობები კატასტროფის რისკის წინასწარი შეფასების, მისი თავიდან აცილების და შერჩილების მიზნით და შესაბამისი მზადყოფნისა და ეფექტიანი რეაგირებისთვის საქართველოში ძალიან შეზღუდულია. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ იმგვარი მონაცემების შეგროვება, ანალიზი, მართვა და გამოყენება, რომლებიც სხვადასხვა გენდერულ კატეგორიას ითვალისწინებს, არასისტემურია.

• შესაბამისი მონაცემების შეგროვება, ანალიზი, მართვა და გამოყენება

კვლევამ გამოვლინა, რომ გენდერულად სპეციფიკური კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით საჭირო მონაცემების შეგროვება, ანალიზი, მართვა და გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია. ეროვნული და ადგილობრივი დონის აქტორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ გენდერული და ასაკობრივი წინასწარი სეგრეგირებული მონაცემები არასაქარისია, ფრაგმენტირებულადაა წარმოდგენილი და გაფანტულია თემის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის და ეროვნულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების განცხადებით, საქართველოში ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების და მოწყვლადობის კვლევის ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ტრადიცია არსებობს, კატასტროფის რისკის შემცირების მიდგომების და მათთან მიმართებაში საზოგადოების როლის შესახებ ცოდნისა და გაცნობიერების ხარისხი მაინც დაბალია.

მონაცემები და მტკიცებულებები, რომლებიც ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების სპეციფიკურ საჭიროებებს შექება კატასტროფის მართვის ციკლის ყველა ეტაპზე, მნირია, თუმცა ზოგიერთ ადგილზე სწორედ გენდერული და ასაკობრივი წინასწარი სეგრეგირებული ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი. მაგალითად, 2015 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონის კალაპოტში წყალდიდობის, ლვარცოფებისა და მეწყრის საშიშროება შეაფასა (წყალდიდობების მენეჯმენტი მდინარე რიონის კალაპოტში). აღნიშნული შეფასების მიზანი იყო კატასტროფის ზონების განსაზღვრა და რუკაზე აღნიშვნა, რომელშიც ჩართული იქნებოდა გენდერული სტატისტიკა ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების და მათი სპეციფიკური საჭიროებების შესახებ, რათა გაზრდილიყო კატასტროფაზე რეაგირების მზადყოფნა. ასეთი ტიპის ინფორმაცია მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია კატასტროფის მართვისა და შესაბამისი პრევენციული ინსტრუმენტების განსაზღვრისთვის. სათანადო მონაცემების სიმწირე კატასტროფაზე რეაგირების პროცესში ხარვეზებს აჩენს. მაგალითად, ევაკუაციის შემთხვევაში, როცა დროებითი ბანაკები და თავშესაფრები ეწყობა, უნდა არსებობდეს მონაცემები ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების რაოდენობის, აგრეთვე, ისეთი საჭიროებების შესახებ, როგორიცაა: ჰიგიენური საშუალებები, რეპროდუციული ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის საჭირო მონაცემები, ინფორმაცია ფისკოლოგიური კონსულტაციისა და მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ ასაკობრივი ჯგუფების და გენდერის მიხედვით. შესაბამისად, დღეს საქართველოში არის კატასტროფის რისკის შემცირებაში გენდერის შესახებ ინფორმაციის ანალიზის ძალიან სუსტი გამოცდილება, მათ შორის, გენდერული და ასაკობრივი წინასწარი სეგრეგირებული მონაცემებისაც. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) 2012 წლის კვლევის ანგარიშის თანახმად, რომელიც კატასტროფის რისკის მართვაში გენდერის როლს ეხება, კვლევის შედეგად მიღებულმა შედეგებმა არ გამოამჟღავნა განსაუთრებული ბარიერების არსებობა გენდერული თვალსაზრისით; გამონაკლისი იყო გენდერული და ასაკობრივი წინასწარი სეგრეგირებული მონაცემების ნაკლებობა.

• რისკის გაცნობიერება და განათლება

კვლევაში შეჯამებულია დაკვირვებები და დასკვნები გენდერულ როლების ტრადიციულ განაწილებაზე, ქალის აღქმა, როგორც წაკლებად კომპეტენტურის და მცოდნის ბუნებრივი კატასტროფის რისკს შემცირების საჭიროები და, ასევე, მათი შეზღუდული მონაცილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და თემის თავისურილებები, რომლის დროსაც ბუნებრივი კატასტროფების საკითხები განხილება. მეორე მხრივ, კაცი ტრადიციულ საზოგადოებაში ნაკლებად ესწრება სათემო განხილვებს, რადგან მიაჩნია, რომ დიდი ძალა და ცოდნა აქვს, რაც კაცს კატასტროფის მზადყოფნისა და მართვის შესახებ ახალი ცოდნის შესაძლებლობას უკარგავს. კვლევამ დაადგინა, რომ სათანადო ცოდნის გარეშე, თუ როგორ უნდა იმოქმედონ კატასტროფულ სიტუაციებში, კაცებს უფრო მეტად და უფრო სწრაფად შექებათ კატასტროფები, რადგან კატასტროფას



საკუთარ ფიზიკურ ძალას უპირისპირებენ და სარისკო და საშიშ ადგილებში მუშაობა უწევთ. ანალოგიურად, კატასტროფული სიტუაციების შემთხვევაში, როცა წყალდიდობისა და დავარცოფის გამო წყლის მიწოდების სისტემები მოშლილია, წყლის პრობლემები გაცილებით მეტად აზარალებს ქალს, განსაკუთრებით, თუ მან არ იცის, როგორ გაუმკლავდეს დაზიანებულ ინფრასტრუქტურას. ამასთანავე, ბუნებრივი კატასტროფები ზოგჯერ აიძულებს საოჯახო მეურნეობების პატრონებს, სხვა ადგილას გადაიტანონ თავიანთი მოსავალი და ბალ-ბოსტანი, და ვინაიდან ქალები ყველაზე ხშირად არიან პასუხისმგებლები საოჯახო მეურნეობასა და ბალ-ბოსტანზე, საკუთარი სახლისგან მომზრებით ბოსტნის გადატანა მათ დამატებით ტვირთად აწვებათ (CENN, 2012, p.15); კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მონაცემებით, სოფლებში მცხოვრები ქალები მოწყვლადები არიან, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მაღალმომან რეგიონებში ცხოვრობენ. ასეთ ქალებს არ ჰყავთ მანქანა, უმეტეს შემთხვევაში რამდენიმე შვილი ჰყავთ, ამავე დროს, მოხუცებზე ზრუნავენ და მიჯაჭულები არიან საკუთარ სახლებზე. სწორედ ამიტომ, მათ შედარებით ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ინფორმაციაზე, ტრენინგებსა და განათლებაზე ისეთ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებს შეეხება, მათ შორის, კატასტროფის რისკის მართვას. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა პანკისის ხეობა და ხელსურეთი, ასევე, აჭარაში გაცილებით ტრადიციული თემებია და რიგ შემთხვევაში ერთი ფაქტორები და ღირებულებები განაპირობებდა იმას, რომ ქალებსა და გოგონებს მართობითი სქესის წარმომადგენლები ტრენინგებსა და ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებში მონაწილეობას უკრძალავდნენ.

კვლევამ აჩვენა, რომ კატასტროფის რისკის ბუნებისა და სიმწვავის შესახებ თემებში არსებული ცოდნა, ძირითად შემთხვევებში, ინდივიდის პირად გამოცდილებას ეფუძნება, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ყოფილან ისინი ჩატარულები რაიმე სახის სასწავლო აქტივობაში კატასტროფის რისკის შემცირებასა და კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაციის საკითხებზე. ცოდნის დონის ნაკლებობა დადასტურდა თიანეთის, დუშეთისა და თელავის მუნიციპალიტეტებში, სადაც კატასტროფის რისკის შემცირებისკენ ორიენტირებული თემის მედეგობის უზრუნველსაყოფი ინტერვენციები სულ ახლახან იქნა ინიცირებული. „როგორ მოვიქცეთ საგანგებო სიტუაციების დროს და როგორ დავეხმაროთ სხვებს – ეს ის მნიშვნელოვანი ცოდნაა, რომელიც ჩვენ გვაკლა. ყოველ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს პირველად სამედიცინო დახმარების განვითარების უნარი. მაგალითად, თუკი მე აღმოვაჩენ ტყეში ზამთრის პერიოდში დაკარგულ ადამიანს, ერთადერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ ალკოჰოლი უნდა დავალევინო. როგორც ჩანს, ეს არასწორია, მაგრამ ჩვენ სხვა ალტერნატივების შესახებ წარმოდგენა არ გვაქვს. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ეს ცოდნა გენდერული განსხვავებების მიუხედავად“, – აღნიშნა დუშეთის ფოკუს-ჯგუფის მონაწილემ. კითხვაზე, რამდენად საჭიროა ტრენინგების ცალ-ცალკე ჩატარება ქალებისა და კაცებისთვის, შუახევის მუნიციპალიტეტში გამართული ფოკუს-ჯგუფის მონაწილე კაცმა აღნიშნა, რომ ამის საჭიროება არ არის. „ჩვენ ყველას გვჭირდება საბაზისო უნარები“, – დასძინა მან. თიანეთში, დუშეთსა და თელავში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილებმა დაადასტურეს, რომ როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტში არასაკმარისია გენდერზე ორიენტირებული კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართული აქტივობები. თემის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ კატასტროფის რისკის შემცირების სატრენინ-გო მოდულების შეთავაზებისას აქცენტი უნდა კეთდებოდეს შერეული ჯგუფების ინტერესებზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციით, ისინი მუშაობენ საბაზო ბალისა და საშუალო სკოლის ასაკის ბავშვებთან, რათა აამაღლონ ცნობიერება კატასტროფების რისკების შესახებ და გადასცენ მათ კატასტრო-

ფის პერიოდში საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღების (თვითმენეჯმენტი) უნარები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადასტურებს, რომ კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ განათლება ჩართულია საშუალო სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებში, თუმცა პროგრამებში ჩართული არ არის გენდერულად სპეციფიკური ინფორმაცია და ის, ძირითადად, კატასტროფის რისკის შემცირების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა ფოკუსირებული.

საერთაშორისო ორგანიზაციები – „გადავარჩინოთ ბავშვები“ და „მუშა სამარიტელთა კავშირი“, რომლებიც საბავშვო ბალისა და სკოლის ასაკის ბავშვებთან მუშაობენ კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და უფექტური თვითმენეჯმენტის უნარების გამომუშავებისთვის, ამბობენ, რომ მათ არ ჰქონიათ შეხება გენდერით გამოწვეულ პრობლემასთან. მიუხედავად ამისა, ისინი აღიარებენ, რომ გენდერი ფართო ქართული საზოგადოებისთვის პრობლემაა და რომ აუცილებელია ქალებისა და გოგონების ცოდნის წახალისება კატასტროფის რისკის მართვის სხვადასხვა ციკლის შესახებ. „მუშა სამარიტელთა კავშირი“ (ASB) ხაზს უსვამს გენდერულად სპეციფიკური საკითხების მიმართ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ადვოკატიონისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების მნიშვნელობას. „მოხარული ვიქენები, თუკი მაშველ ქალებს ვიხილავ რეკლამებში, რადგან ეს წახალისებს ქალი მაშველების იდეას ქართულ საზოგადოებაში და მათ აღტერნატიულ პროფესიებზეც დაფიქრებს“, – განაცხადა „მუშა სამარიტელთა კავშირის“ წარმომადგენელმა.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდების განათლება სამოქალაქო თავდაცვასა და კატასტროფის რისკების შემცირების თემებზე სკოლამდელი და საშუალო განათლების ნაწილი უნდა გახდეს. მათ ყურადღება გაამხვილეს იმაზე, რომ განათლება გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკების შემცირების სფეროში ადრეული ასაკიდანვე უნდა იწყებოდეს, რათა ამ საკითხების მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ხარისხი ამაღლდეს. „შესაძლებელია, სკოლებსა და ბაგა-ბაღებში ბავშვებს ვასწავლოთ, თუ როგორ მოექცენებ ქალებს და ბავშვებს საგანგებო სიტუაციებში“, – განაცხადა თელავის ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ქალმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ უახლოესი ხეთი წლის განმავლობაში კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის საჭიროებების შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფაზე იქნება ფოკუსირებული. დღემდე, კატასტროფის რისკის შემცირების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდებოდა ევროკომისის ჰუმანიტარული მისისა და სამოქალაქო თავდაცვის (ECHO) ოფისის პროგრამა DIPECHO-ს პროექტის ფარგლებში. კითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია გენდერული ასპექტის შეტანა კატასტროფის რისკის შემცირების საგანმანათლებლო პროგრამაში, სამინისტროს პოზიციით, ტერმინ „გენდერის“ წაცვლად გაცილებით მისაღებია „ქალის და კაცის, ბიჭებისა და გოგონების“ გამოყენება.

რაოდენობრივი გამოკითხვა ექვსივე მუნიციპალიტეტში მოქმედი ახალგაზრდული კლუბების წარმომადგენლებთან ადასტურებს შეხედულებას, რომ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და, ზოგადად, კატასტროფის მართვის გამოცდილება ბიჭებს უფრო მეტად აქვთ. ბიჭები უფრო აქტიურად ერთვებიან კატასტროფის მართვისა და რისკების შემცირებისკენ მიმართულ აქტივობებში, გოგონები კი უფრო აქტიურად ერთვებიან კატასტროფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში საკუთარ ოჯახებში. მთლიანობაში, ახალგაზრდებს შორის არსებობს საკმაოდ მაღალი მოლოდინი საკუთარი ოჯახებისა და თემში მართობითი სქესის წარმომადგენლების მიმართ; შესაბამისად, ბიჭები და კაცები მეტად არიან ჩართულები კატასტროფის რისკის შემცირების პროცესში და, ამავდროულად, მეტად აქვთ შეხება კატასტროფულ სიტუაციებთან. რაც შეხება გენდერულად სპეციფიკური საჭიროებების შესახებ არსებულ ცოდნას, აღმოჩნდა, რომ ბიჭებს გოგონებთან შედარებით მეტი ინფორმაცია აქვთ ამ საჭიროებების შესახებ.

ექვსივე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული კლუბების წევრთა გამოკითხვის საფუძველზე მიღებული ინფორმაციით, დაახლოებით 65%-ს, რაც 101 გამოკითხულიდან 68-ს უდრის (გოგონები და ბიჭები), არასოდეს მიუღია მონაწილეობა კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ მოსამზადებელ სამუშაოებში. მხოლოდ 10%-ს აღმოჩნდა ბუნებრივი კატასტროფების დროს ქცევის წესების შესახებ ჩატარებულ ტრენინგებში დასწრების გამოცდილება. გამოკითხულთაგან მეტ ბიჭები, ვიდრე გოგონას აქვს ცოდნა იმის შესახებ, თუ სად არის უახლოესი თავშესაფარი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საერთო ჯამში, დაფიქსირდა განსხვავებები, ერთი მხრივ, ხულოს, ქედისა და შუახევის, მეორე მხრივ კი, თელავის, თიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მონაცემებს შორის. რესპონდენტებმა აჭარის მუნიციპალიტეტებიდან გაცილებით მეტი იციან თავიანთი როლის შესახებ სკოლის საგანგებო სიტუაციების გეგმებში, ვიდრე თელავის, თიანეთისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაცხოვებლებმა. მთლიანობაში, რესპონდენტების 60%-მა იცის საკუთარი როლი სკოლის საგანგებო სიტუაციების გეგმაში. გენდერულ ჭრილში მონაცემების ანალიზმა გამოავლინა, რომ უფრო მეტმა ბიჭება იცის დაზუსტებით საკუთარი როლი საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესში, ვიდრე გოგონამ. რესპონდენტების 57% აღნიშნავს, რომ ისინი ჩართულები არიან ოჯახში მიმდინარე დისკუსიებში საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების ზომებისა და დაგეგმვის შესახებ. მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის შედარებით ანალიზი აჩვენებს, რომ ბიჭებს შორის გაცილებით დიდია იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც სახლში ამ საკითხების განხილვით არ არიან დაკავშირებული (28:11). ცხადად ჩანს, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი, კერძოდ, 67% ინფორმაციის უმთავრეს წყაროდ, თუ როგორც მოიქცენებ კატასტროფების შემთხვევაში,



ასახლებს მამას, რესპონდენტების საერთო რაოდენობის 21%-ისთვის კი დედაა ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყარო. კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ კატასტროფული სიტუაციების პირადი გამოცდილება ბიჭებს მეტად აქვთ, ვიდრე გოგონებს (23:8).

რესპონდენტების 63,3% აცხადებს, რომ კატასტროფების დროს საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესში სხვების დახმარების ინიციატივას საკუთარ თავზე მამა იღებს, ხოლო 14,2% ასეთი ინიციატორის როლში დედას ასახელებს. 50-იდან 34 მამრობითი სქესის წარმომადგენელი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მამები კისრულობენ ასეთ პასუხისმგებლობას (34:21). რაც შეეხება რესპონდენტების გათვითურნობიერების ხარისხს ქალების, კაცების, ბავშვების, მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ, რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი ადასტურებს, რომ სათანადო ინფორმაცია აქვს ქალების და კაცების განსაკუთრებული, სპეციფიკური საჭიროებების შესახებ. ქალების საჭიროებების შესახებ ინფორმაციას ფლობს რესპონდენტთა მხოლოდ 6%, ხოლო კაცების განსაკუთრებულ საჭიროებებს რესპონდენტთა მხოლოდ 10% იცნობს.

გამოკვეთილი ძირითადი ტენდენციის თანახმად, რესპონდენტების დიდმა ნაწილმა გადაუდებელ სიტუაციებში ლიდერად მამრობითი სქესის ოჯახის წევრები დაასახელა (1 – მამა; 2 – პაპა; 3 – ბიძა). რიგ შემთხვევაში ასეთ როლში დედაც იყო წარმოდგენილი მამასთან და/ან პაპასთან ერთად. მამრობითი სქესის წარმომადგენელების მიმართ ასეთი ნდობა გამოწვეულია მამრობით სქესთან მიმართებაში დასახელებული შემდეგი თვისებებით: ფიზიკური სიძლიერე, საგანგებო სიტუაციებში სწრაფი რეაგირების უნარი, სხარტი აზროვნების უნარი და სხვა. ანალოგიურ თვისებებს აღნიშნავდნენ თავიანთ თემში საგანგებო სიტუაციების დროს ლიდერი კაცების დასახელებისას. რესპონდენტთა უმრავლესობა კაცს ასახელებს წარმომადგენლად სოფლისა და მუნიციპალიტეტის დონეზე.

პრიორიტეტი 2. კატასტროფის მართვის სისტემის გაძლიერება კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით

კატასტროფის რისკის მართვის სისტემის გაძლიერება ეროვნულ და გლობალურ დონეებზე მნიშვნელოვანია კატასტროფის რისკის შემცირების მართვისთვის ყველა სექტორში და ეროვნული და ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოების, რეგულაციებისა და საჯარო პოლიტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფა ისე, რომ განისაზღვროს როლები და პასუხისმგებლობები, მიმართულება მიეცეს, ხელი შეეწყოს და წახალისდეს საჯარო და კერძო სექტორის მოქმედებები კატასტროფის რისკის საპასუხოდ.

• გენდერული წარმომადგენლობა კატასტროფის რისკის შემცირების მართვაში საზოგადოებრივ დონეზე

ძირითადი ტენდენცია, რომელიც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მხრიდან გამოიკვეთა, უკავშირდება ქალის მზარდ ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამის მიუხედავად ისინი ნაკლებად არიან წარმოდგე-

ნიღნი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. ფოკუს-ჯგუფის დისკუსიისას გამოვლინდა, რომ სოციალური და კულტურული ნორმები და ფასულობები საკმაოდ მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ძალაუფლების დანანილებას ეხება. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ექვსივე მუნიციპალიტეტიდან ახსენეს სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომლებსაც დაინტერესებული აქტორები იყენებენ თემის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად კატასტროფის რისკის შემცირების პროცესში. ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტად სახელდება საქართველოს მთავრობის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ერთ-ერთი მექანიზმია სოფლის საბჭო – მოსახლეობის შეკრება პრობლემური საკითხების განსახილველად. სოფლის საბჭოს შეკრებებს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებენ. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ასევე ასახელებენ სოფლის მოსახლეობის პირისპირ შეცვედრებს სოფლის რწმუნებულთან და სხვა პირებთან, აგრეთვე, მუნიციპალიტეტისა და მისი გამგებლის წინაშე წარდგენილ პეტიციებსა და მიმართვებს. კომუნიკაციას ყველა აქ ჩამოთვლილ შემთხვევაში ექვსივე მუნიციპალიტეტში ქალები ახორციელებენ. აქვე, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილეები ასახელებენ სხვადასხვა მიზეზს, რომლებიც განაპირობებს კაცების წაკლებ ჩართულობას კატასტროფის რისკის მზადყოფნაზე ორიენტირებულ აქტივობებში:

- საქართველოს ზოგიერთ რეგიონში კაცები ქალებთან შედარებით მცირერიცხოვნად არიან წარმოდგენილნი;
- კაცებს „რცხვენიათ“ და ერიდებათ საკუთარი ემოციებისა და დამოკიდებულებების გაზიარება;
- კაცები პასიურები და ინერტულები არიან და უწევთ სხვადასხვა სახის დამოკიდებულებებთან გამკლავება (როგორიცაა, მაგ., ალკოჰოლის მოხმარება).

რაც შეეხება ქალებს, არსებობს სხვადასხვა კულტურული და სოციალური ნორმა, რომლებიც კატასტროფის რისკის მზადყოფნისკენ მიმართულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობებს ამცირებს. რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ სათემო საქმიანობებში ყველა თანაბრად მონაწილეობს. ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ქალებს და კაცებს ექვსივე მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც სამთავრობო უწყებებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ ამ საკითხების მიმართ.

„ვფიქრობ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები საკმარისად ვერ აფასებენ ჩვენს პოტენციალს და საჭირო ხდება პრიორიტეტების გადახედვა. რა თქმა უნდა, კაცები და ქალები თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ ყველა ტიპის აქტივობებში“, – განაცხადა თელავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები გენდერული როლების განაწილების ტრადიციულ მოდელს იზიარებენ, რაც შემდეგი ფორმულირებებიდანაც იკვეთება:

- ქალები არ არიან ფიზიკურად იმდენად ძლიერები, რომ საკუთარ თავზე აიღონ მაშველის პასუხისმგებლობები, რაც ფიზიკურ სიძლიერეს მოითხოვს;
- ქალის მომზადებას მაშველის საქმიანობისთვის სჭირდება დიდი ფინანსური რესურსი და დრო, მსგავსი საქმიანობა ქალისგან მოითხოვს სახლიდან შორს ყოფნას რამდენიმე დღის განმავლობაში;
- ქალები, ტრადიციულად, მიჯაჭვულები არიან საკუთარ ბავშვებსა და ოჯახებზე და ეს ხელს უშლის მათ, დაუუფლონ მაშველის პროფესიას.

ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილე კაცმა აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ქალების მონაწილეობამ გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და საზოგადოებრივ საქმიანობებში ამ პოლო პერიოდში 53%-ს მიაღწია, რაც გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილი მაჩვენებელია.

დუშტოის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების თქმით, მათ შემთხვევაში ქალები უფრო აქტიურად არიან ჩართული კატასტროფის რისკის შემცირებაზე ორიენტირებულ საქმიანობებში, ვიდრე კაცები. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს კაცების ჩართულობის ამაღლებას კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ ყველა სახის აქტივობებში, განსაკუთრებით დაგეგმვისა და კოორდინაციის ეტაპზე. ანალოგიურ პოზიციას იზიარებენ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებიც.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების (RCS) ინფორმაციით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მაგალითად, რაჭაში, მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქალები, ზოგადად, გაცილებით აქტიურები და ჩართულები არიან კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ ყველა სახის აქტივობებში, კაცებების გზაზე გადასახლდება. როგორც ქალებსა და კაცებს ვიზუალურად დაეხატათ კატასტროფასთან დაკავშირებული საჭიროებები, კაცებმა დახატეს გზა, რომელიც მათ სოფელს სხვა სოფლებთან აკავშირებს, მაშინ როგორც ქალებმა, ძირითადად, დახატეს საკუთარი სახლი და სასმელი წყალი“, – აღნიშნა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელმა.

განსხვავებული პოზიცია დაფიქსირდა შუახევის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე, რომელმაც დაბეჯითებით განაცხადა, რომ ქალებს არ უნდა უტარებდნენ ტრენინგებს. ამის მიზეზად მან დაასახელა ქალის მიჯაჭულობა საკუთარ ოჯახსა და სახლზე, რის გამოც ქალს არ უნდა ჰქონდეს კატასტროფის რისკის შემცირების აქტივობებში ჩართვის ინტერესი. ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქალები კაცებთან შედარებით ნაკლებად არიან მიდრეკილნი, რისკებზე პასაუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ. მათი აზრით, სწორედ ამ მიზეზების გამო გაუმართლებელია ქალებისთვის ტრენინგის ჩატარება კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებზე.

• გენდერის კოორდინატორები

ყველა შესასწავლილ მუნიციპალიტეტში არიან გენდერის კოორდინატორები. 2013 წელს ქალთა საინფორმაციო ცენტრმა (WIC) ხელი შეუწყო გენდერული თანასწორობის მექანიზმების დაწერვებისა და ადგილობრივ თვითმმართველობებში⁵⁸. ინიციატივას მხარი დაუჭირა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, რომელმაც სამინისტროში გენდერული თანასწორობის მრჩეველი დანიშნა, რაც შემდგომში ადგილობრივ დონეზე უკვე მუნიციპალიტეტებში 42 მრჩევლის დანიშვნით გაგრძელდა. 2014 წლისთვის გენდერული თანასწორობის მრჩეველთა რიცხვი 21-მდე შემცირდა. 2015 წლის ოქტომბერში⁵⁹ ამ დარჩენილი 21 მრჩევლიდან მხოლოდ ერთი იყო დასაქმებული, როგორც გენდერული თანასწორობის კოორდინატორი, და იღებდა შესაბამის ანაზღაურებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. გენდერის სხვა დანარჩენმა კოორდინატორებმა კი უკვე ახალი დამატებითი მოვალეობები და ვალდებულებები მიიღეს, რაც მათ პირდაპირ საქმიანობას აღემატებოდა.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილეებმა ქედასა და შუახევში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გენდერის კოორდინატორებმა მათ მუნიციპალიტეტებში საკმაოდ გაზარდეს ქალთა მონაწილეობის ხარისხი კატასტროფის რისკის მართვის სხვადასხვა აქტივობაში. „გენდერის კოორდინატორის პოზიცია სიახლეა ჩვენს მუნიციპალიტეტსა და სოფლებში და მას უხდება საკმაოდ დიდი ძალისხმევის განვითარება, რათა თითოეულ ოჯახში გენდერული საკითხების შესახებ ცოდნა გაზარდოს“, – აღნიშნა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილემ ქედის მუნიციპალიტეტიდან.

გენდერის კოორდინატორებმა საკმაოდ დიდი ინტერესი გამოხატეს, აქტიურად ჩაერთონ კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ საქმიანობებში მუნიციპალიტეტებისა და თემების დონეზე. ასევე, გენდერის კოორდინატორები მზადყოფნას აცხადებენ, ადგომატიკურა გაუნიონ გენდერულ მეინსტრიმინგს და კატასტროფების რისკის შემცირების საკითხებს მუნიციპალურ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გატარებულ პოლიტიკაში, მათ გეგმებსა და ბიუჯეტში. აჭარაში გენდერის კოორდინატორები უკვე ჩართულები არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც დაკავშირებულია გენდერული საკითხების განხილვასთან კატასტროფის რისკის შემცირების პროცესში, სპეციალიზებულ ტრენინგებთან, ქალისა და კაცის თანასწორ ჩართულობასთან თემის დონეზე რისკებისა და სტიქიური უბედურებების იდენტიფიცირების პროცესში. თუმცა ხაზგასამელია, რომ გენდერის კოორდინატორის საქმიანობის არეალი კვლავ არაა სრულად განსაზღვრული, წინააღმდეგ შემთხვევაში, კავშირი გენდერსა და კატასტროფის რისკის შემცირებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს შორის უფრო სისტემურ ხასიათს მიიღებდა.

• ეროვნული დონის დაინტერესებული აქტორების მიერ გენდერულად სპეციფიკური კატასტროფის რისკის შემცირების საკითხის აღქმა

კატასტროფის რისკის შემცირებაზე ორიენტირებული საქართველოს კანონდებლობა ამომწურავია. მიუხედავად ამისა, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის, პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე სამაგილ კვლევამ აჩვენა, რომ არა მარტო არ არსებობს გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტი, არამედ კატასტროფის რისკების შემცირების სფეროში მოქმედი დაინტერესებული აქტორები ნაკლებად ნარმოადგენენ ხოლმე გენდერისა და ადგილობრივი თემის ინტერესებს, როცა კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ აქტივობებზე საუბარი; თუმცა ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2017 წლის იანვარში დამტკიცებულ კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიაში გენდერული ასპექტები ნაწილობრივ გათვალისწინებულია. ეროვნულ დონეზე, საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო უწყებისა და სააგენტოს წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ნახევრად სტრუქტურირებულმა ინტერვიუებმა (ცხადყო, რომ ეროვნული დონის აქტორებს კატასტროფის რისკის მართვის საკითხებში აქვთ ხედვა, მართვის, კოორდინაციისა და მენეჯმენტის შესაძლებლობა და მზად არიან იმისთვის, რომ შესაბამის დოკუმენტებსა და ინიციატივებში გენდერის კომპონენტი გაძლიერდეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამემნე ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შესაძლებელია კატასტროფის რისკის შემცირების საკითხი გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებში გაერთიანდეს. დამატებით, აღნიშნული სამსახური გენდერულად სპეციფიკური კატასტროფის რისკის შეფასების საფუძველზე მიზნად ისახავს, გარკვეული პერიოდულობით შეაფასოს არსებული სიტუაცია და გამოკვეთოს შესაბამისი

58 <http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2016/report%20-%20the%20gender%20assessment%20of%20agriculture.pdf?vs=3323>

59 <http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2016/report%20-%20the%20gender%20assessment%20of%20agriculture.pdf?vs=3323>



საჭიროებები კატასტროფის რისკების შემცირების შესაბამის ინტერვენციებთან მიმართებაში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ხაზს უსავამს ქალის განსაკუთრებულ და გადამწყვეტ როლს კატასტროფის რისკის მართვის პროცესში, თუმცა ამავდროულად აღიარებს, რომ დღევანდელი შრომის ბაზარი ამ სფეროში კაცების დასაქმებაზე უფრო მეტადაა ორიენტირებული.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს განცხადებით, საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნულ სტრატეგიაში, რომელიც 2017 წლის იანვარშია მიღებული, ერთ-ერთი პრიორიტეტი „კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფაა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე“. „თუკი მსოფლიო მასშტაბით არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს მოვიშველიერ, ქალები და ბავშვები კატასტროფის დროს ყველაზე მოწყვლად ჯვეფს ნარმოადგენენ. რაც უფრო მეტად ჩავრთავთ ქალებს როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე კატასტროფების რისკების შემცირებასთან დაკავშირებულ აქტივობებში, მით მეტი მზადყოფნით მოახდენენ ისინი რეაგირებას რისკებზე“, – განაცხადა საქართველოს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ოფიციალური ნარმომადგენელმა. მისი თქმით, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები გაცილებით აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული იმისათვის, რომ კატასტროფის რისკის შემცირების გენდერულად სპეციფიკური საკითხების მიმართ არსებული ცნობიერების დონე ამაღლდეს. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ ისინი მზად არიან, ხელი შეუწყონ გენდერულად სპეციფიკური კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

გენდერული სტერეოტიპები ხელს უშლის ქალების აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქალები, უმრავლეს შემთხვევაში, ნაკლებად არიან ნარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მუნიციპალიტეტებში. ქალები, როგორც წესი, მიჯაჭულები არიან საკუთარ ოჯახებსა და სახლებზე, რაც განაპირობებს იმას, რომ მათ არ აქვთ შესაბამისი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება (მანქანის მართვა, ცოცვა, ცურვა) კატასტროფის რისკების შემცირებისთვის მზადყოფნისთვის. ქალები ხშირ შემთხვევაში თავს ნარმოდგენენ საკუთარ სახლში, ოჯახთან დაკავშირებულ საქმიანობებში, რაც ოჯახებში აღიარებული როლების ტრადიციულ განაწილებას შეესაბამება. ეს კაცებისა და ბიჭებისთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის შესაბამის ცოდნასა და, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას. ამის მიუხედავად, საჭიროა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში გამოიკვეთა საპირისპირო ტენდენციაც იმ ქალების სახით, რომლებიც გაცილებით პროაქტიურები არიან კატასტროფის რისკებისთვის მზადყოფნის ეტაპზე, ესწრებიან სათემო თავისურილობებს თვითმმართველობის ნარმომადგენელთა შეხვედრის დროს და აქტიურად ერთვებიან კატასტროფის წინარე და შემდგომ რეაგირების აქტივობებში. აღნიშნული ტენდენცია დაადასტურა რაოდენობრივმა კვლევამაც, რომლის დროსაც გოგონებს აღმოაჩნდათ შესაბამისი ცოდნა და აღმოჩნდნენ აქტიურები იმისათვის, რომ კრიზისულ სიტუაციებში ლიდერის როლი აეღოთ საკუთარ თავზე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივ თემებში არსებობს მზადყოფნა ქალებისა და გოგონების გაძლიერებისთვის.

პრიორიტეტი 3. ინვესტიციის განხორციელება კატასტროფის რისკის შემცირებაში, მდგრადობის მიზნით

საჯარო და კერძო ინვესტიციები კატასტროფის რისკის თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად, სტრუქტურული და არასტრუქტურული ზომები მნიშვნელოვანია როგორც ადამიანების, თემების, ქვეყნების ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და ჯანდაცვის, მათი კაპიტალის მდგრადობის, ისე ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

• გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობის განვითარება

კვლევის მონაცილები თანხმდებიან იმაზე, რომ საუკეთესო საშუალება გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის მართვის საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად არის ტრენინგები და ახალგაზრდების განათლება. ქალები და გოგონები დაინტერესებულნი არიან მსგავსი სახის ტრენინგებში მონაცილეობით, მაგრამ ხშირად მათთან ვერ აღწევს ინფორმაცია ტრენინგის შესახებ, ან იმდენად დაკავებულები არიან სახლის საქმეებით, რომ ვერ ახერხებენ ამ ტრენინგებში მონაცილეობას. საზოგადოების წევრები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კაცები, ზოგიერთ შემთხვევაში, ზედმეტად არიან დარწმუნებულები საკუთარ ძალებში და სრულყოფილ ცოდნაში, რის გამოც თავს არიდებენ საზოგადოებრივ შეხვედრებს კატასტროფის მზადყოფნის თემებზე, მაშინ როცა უფრო მეტად გაცნობიერებულნი უნდა იყვნენ კატასტროფის რისკის მართვის საკითხებში და კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართულ გენდერულ საკითხებში. კატასტროფის რისკის შემცირების საკითხში კაცების, ქალების, გოგონებისა და ბიჭების განათლების შესახებ საუბრისას ფოკუს-ჯგუფის მონაცილემ ქედის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნა, რომ სასარგებლო იქნებოდა დოკუმენტური ფილმებისა და ვიდეოების ჩვენება ყველა ტიპის აუდიტორიისათვის კატასტროფის რისკის მართვაში ქალისა და კაცის ჩართულობის საუკეთესო გამოცდილების გასაზიარებლად. ფოკუს-ჯგუფის თითქმის ყველა წევრმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამედიცინო დახმარების მომსახურება უმეტესად ქალებმა უნდა გასწიონ, მაშინ როცა სასწავლი დახმარების მძლოლები, მათი თქმით, კაცები არიან. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლები ვერ ხედავენ იმის საჭიროებას, რომ ქალები ჩაერთონ ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათგან ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ თუკი სამინისტრო გადაწყვეტს, ჩატაროს ტრენინგები და განახორციელოს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია, გენდერული თანასწორობის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერება გაიზრდება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2015 წელს ეროვნული სასწავლო ცენტრი გახსნა, სადაც ტარდება სასწავლო კურსები სამინისტროს თანამშრომლებისთვის. მათ შორის არის ტრენინგი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სხვადასხვა ტიპის კატასტროფებისა და რისკების პერიოდში ტრენინგი უკვე გაიარა 2700-მა ადამიანმა.

• რესურსების განაცილება კატასტროფის რისკის შემცირებისთვის

ექვსი მუნიციპალიტეტის სტრატეგიებისა და ბიუჯეტების შესწავლამ აჩვენა, რომ გენდერული ასპექტი ამ დოკუმენტებში მეტად გამოკვეთილი არ არის. ამ გარემოების გამო, როგორც ზემოთ აღინიშნა, მრჩევლები გენდერული თანასწორობის საკითხებში მუნიციპალიტეტებში შესაბამისი არსებითი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე რჩებიან.

კატასტროფის რისკის შემცირების რესურსცენტრები ქედაში, ხულოსა და შუახევში, რომლებიც „ოქსფამის“ აქტიური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაცილეთა აზრით, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ და საკმაოდ მაღალი შეფასებაც აქვთ. კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრები საზოგადოებასა და ადგილობრივ მთავრობას შორის მედიატორის როლს ასრულებენ. რესურსცენტრებმა, აგრეთვე, ხელი შეუწყვეს კატასტროფის რისკის შემცირების რამდენიმე პროექტს, რომლებიც ევროკომისის ჰემანიტარული დახმარებისა და სამოქალაქო დაცვის გენერალური დირექტორატის (ECHO) მიერ დაფინანსებული პროგრამის, „თემების მდგრადი განხორციელება სამხრეთ კავკასიაში“ და „განვითარება“ და „შავი ზღვის ეკოაკადემია“ – მხარდაჭერით. პროექტები ინიცირებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომელსაც მხარს უჭერდა ადგილობრივი ხელისუფლება და თავად პროგრამაც. მცირე მასშტაბის შემარბილებელი ღონისძიებების ფარგლებში წარმოდგენილი აქტივობებიდან აღსანიშნავია სანიაღვრე არხის სისტემის რეაბილიტაცია, ხანძარსანინააღმდეგო რეზივუარის მშენებლობა და სხვა ინვესტიციური პროექტები. ქალები და კაცები თანაბრად მონაცილეობდნენ პროექტების როგორც მომზადების, ისე განხორციელების პროცესში.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ ქალების ჩატარულობა მათ საქმიანობაში მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსს, რომელიც უნდა დაიხარჯოს გენდერული პერსპექტივით მათ მომზადებასა და ტრენინგებზე. მსგავსი რესურსების ნაკლებობა შესაბამისი პერსონალის მოსამზადებლად და, აგრეთვე, ქალების დაბალი მოტივაცია მსგავს სამსახურში დასასაქმებლად პრობლემატურ საკითხებს შორის სახელდება.

მუნიციპალიტეტების სტრატეგიული გეგმებისა და ბიუჯეტების ანალიზმა დაადასტურა, რომ მართალია, მათი ნაწილი შეიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას მუნიციპალიტეტში გენდერული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ გენდერის კოორდინატორის პოზიცია ამ დოკუმენტებში ნახსენები არ არის. თაანეთის მუნიციპალიტეტის 2015-2021 წლების განვითარების სტრატეგია განიხილავს გენდერული ასპექტების მაქსიმალურად დაცვის საჭიროებას და აქცენტირებას ახდენს შესაბამისი ინსტრუმენტების განვითარებასა და დანერგვაზე, ასევე, ადგილობრივ თემებში გენდერული საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე.

როგორც სამაგიდო კვლევაშია აღნიშნული, ფონდ „ტასოს“ მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მოხდა გენდერული ბიუჯეტის შექმნის ინიცირება. ამ ინიციატივის წელი შეუწყო საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში მუნიციპალური დადგნილების მიღებას, რამაც ამ მუნიციპალიტეტებში გენდერული ბიუჯეტირების სამუშაო ჯავუფების ჩამოყალიბებისთვის სამართლებრივი საფუძველი შექმნა.⁶⁰ გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს ბიუჯეტის იმგვარ დაგეგმვას, პროგრამირებასა და შედგენას, რომ გათვალისწინებული იყოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის საკითხები.

პრიორიტეტი 4. კატასტროფისთვის მზადყოფნის გაძლიერება ეფექტიანი რეაგირების და „ხელახლა უკეთესი ხარისხით მშენებლობის“, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუცილებელია კატასტროფისთვის მზადყოფნის გაძლიერება მასზე უფრო ეფექტიანი რეაგირებისა და იმისათვის, რომ ადგილზე არსებობდეს შესაძლებლობები ეფექტიანი აღდგენისათვის.

სტიქიური უბედურებები ასევე ცხადყოფს, რომ აღდგენის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის ფაზა, რისთვის მზადებაც კატასტროფის წინა პერიოდში უნდა მოხდეს, არის „ხელახლა უკეთესი ხარისხით მშენებლობის“ (*“Build Back Better”*) შესაძლებლობა კატასტროფის რისკის შემცირების ზომების ინტეგრირების მეშვეობით. ქალებმა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა საჯაროდ უნდა მართონ და ხელი შეუწყონ გენდერულად თანასწორი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მიღების დამკვიდრებას რეაგირებისა და რეკონსტრუქციის ფაზებში.

• მზადყოფნა რისკების შემცირებისთვის

ექვს მუნიციპალიტეტში კატასტროფებისთვის მზადყოფნა განსხვავებულია – უფრო მაღალია მაღალმთიან აჭარაში და უფრო დაბალი – მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში, ისევე როგორც ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან იქ მცხოვრები თემები. ექვსი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების მიერ დასახელებულ გამოწვევებს შორის გამოიყოფა შემდეგი:

- 1) კატასტროფების პრევენციისა და შესაბამისი რეაგირებისთვის აუცილებელი აღჭურვილობისა და ტექნიკის ნაკლებობა;
- 2) გადაუდებელი რეაგირებისთვის მათი სოფლების მახლობლად კვალიფიციური სამაშველო და დახმარების სამსახურების ნაკლებობა;
- 3) კატასტროფის რისკის მართვის სხვადასხვა ასპექტზე ადგილობრივი თემების განათლებისა და მზადყოფნის ნაკლებობა (ეს ეხება გენდერულად სპეციფიკურ მოთხოვნებს და საჭიროებსაც);
- 4) ადამიანური და ფინანსური რესურსის ნაკლებობა, რომელიც საჭიროა კატასტროფის რისკის შემცირების საქმიანობისთვის;
- 5) სუსტი კომუნიკაცია და ინფრასტრუქტურა (SMS შეტყობინების სისტემები, ინტერნეტი, კატასტროფის რისკის შემცირებისათვის სოციალური ქსელების დანართების გამოყენება, სატრანსპორტო სისტემა და გზები);
- 6) კატასტროფის რისკის შემცირების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა უწყება მიმოფანტულია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის, რაც ზოგჯერ ზღუდავს მობილიზაციას და ეფექტიან რეაგირებას კატასტროფების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოწვევების უმრავლესობა კონკრეტულ გენდერულ ასპექტზე არ მიუთითებს, ისინი თანაბრად იმოქმედებენ, პირდაპირ თუ ირიბად, კაცებზე, ქალებზე, გოგონებსა და ბიჭებზე. მაგალითად, ფოკუს-ჯავუფის წევრთა უმრავლესობა აცხადებს, რომ სოფლებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების ხელმისაწვდომობა და ინტერნეტი ძალიან შეზღუდულია. ერთადერთი მუნიციპალიტეტი, სადაც რამდენიმე წლის წინ SMS შეტყობინების სისტემა დაინერგა, ქედის მუნიციპალიტეტია. ქედის ფოკუს-ჯავუ-

60 <http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2016/report%20-%20the%20gender%20assessment%20of%20agriculture.pdf?vs=3323>



ფის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი კმაყოფილები არიან SMS შეტყობინების სისტემით, რომელიც მათ ეხმარება მოსალოდნელი კატასტროფებისთვის მზადყოფნაში, თუმცა მათ ასევე განაცხადეს, რომ ეს სისტემა ვერ ეხმარებათ ყველა შემთხვევაში. „როდესაც კაცები მაღალ საძოვრებზე არიან, ან როცა სოფლიდან სხვაგან არიან წასულები სამუშაოდ, ჩვენ მარტო ვუძღვებით ყველა საქმეს ჩვენს ოჯახებში. როდესაც ძლიერი თოვლია, ჩვენით ვწმენდთ სახურავებს და ასევე გაყინულ სასმელ წყალს ვებრძით; ჩვენ ვზრუნავთ ბავშვებზე და ამ ყველაფერთან ერთად ზოგიერთი ჩვენგანი მუშაობს კიდეც“, – განაცხადა თიანეთის ფოკუს-ჯგუფის წევრმა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მასიური კატასტროფების მართვის სიმულაციებს ორ ან სამ წელიწადში ერთხელ ატარებენ. გამონაკლისებს შორისაა კატასტროფის მაღალი რისკის ზონები, სადაც სიმულაციები უფრო ხშირად დონორი ორგანიზაციების დახმარებით ხორციელდება.

კვლევამ დაადასტურა, რომ არსებობს კატასტროფისთვის მზადყოფნის მაღალი დონე ეფექტური რეაგირებისა და „ხელახლა უკეთესი ხარისხით მშენებლობის“, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისათვის. ამ თვალსაზრისით, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოების მუშაობა. გარდა ამისა, თითოეულ ამ უწყებაში ვერ კიდევ არის გენდერულად მგრძნობიარე პერსპექტივის წაკლებობა. ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოების ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, მაგრამ ზოგიერთი სააგენტოს წარმომადგენელი გენდერულად სპეციფიკური მომსახურების მიწოდებას აუცილებლობად არ მიიჩნევს. შესაბამისად, ისინი წაკლებად იცნობენ გენდერულად მგრძნობიარე საპასუხო მექანიზმების არსებობას. მიუხედავად ამისა, საზოგადოების წევრები მიუთითებენ, რომ აუცილებელია მათი გენდერული და ასაკობრივი ნიშნით დახარისხება და ზრუნვა. ასევე, გოგონებსა და ბიჭებთან ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა ცოდნის დაბალი დონე კაცებისა და ქალების საჭიროებების შესახებ, ბავშვების, მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებთან შედარებით.

მსგავსი დადებითი შეფასება გაკეთდა კატასტროფების შემდეგ პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოქმედებებისა და მუშაობის შესახებ, თუმცა წაკლოვანებებს შორის ფოკუს-ჯგუფის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს ქუჩის დონის ბიუროკრატია, საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელ სხვადასხვა აქტორთა შორის პასუხისმგებლობების შეუთანხმებელი განაწილება და გენდერულად მგრძნობიარე მომსახურების წაკლებობა.

ეროვნულ დონეზე მოქმედი აქტორები ხაზს უსვამენ ევაკუაციის დროს გენდერულად სპეციფიკური საჭიროებების შესახებ მონაცემების შესაბამისობისა და ხელმისაწვდომობის სიმწირეს; საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ასეთი რეალობა ხელს უშლის აღდგენის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის ფაზების ეფექტურობასა და ეფექტური აღდგენის შესაბამისი ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას. ანალიზმა დაადასტურა, რომ არასაკმარისია ცოდნა გენდერულად მგრძნობიარე ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებსა და კატასტროფების შემდეგ საჭირო ინფრასტრუქტურაზე.

• თემის მოხალისეები

აჭარაში ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფებმა ცხადყო, რომ კატასტროფის რისკის შემცირების მოხალისეობრივი კულტურა ამ რეგიონში საკმაოდ მაღალია. ეს განპირობებული აღმოჩნდა იმ ფაქტით, რომ ამ მუნიციპალიტეტების სოფლების მცხოვრებთა მომზადება და მხარდაჭერა განხორციელდა „ოქსფამისა“ და „ბრიჯის“ რესურსცენტრებში და „მავი ზღვის ეკოაკადემიის“ მიერ. მოხალისე მაშველთა ჯგუფებში 6-8 ადამიანია, რომელთა ნახევრის ქალები წარმოადგენენ, თუმცა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის წევრებმა უკმაყოფილება გამოითვეს იმის თაობაზე, რომ მოხალისეთა ჯგუფებისთვის არ არსებობს ფინანსური წამახალისებლები, რაც მათი მდგრადობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. დანარჩენ 3 მუნიციპალიტეტში მსგავსი მოხალისეობრივი ჯგუფების შექმნის საკითხის განხილვისას ფოკუს-ჯგუფის წევრებმა ოლავიდან, დაშეთიდან და თანეთიდან ხაზი გაუსვეს ფინანსური წარალისების მექანიზმის მნიშვნელობას მათი საქმიანობისთვის, რაც, ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, განპირობებულია ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით, უმუშევრობის მაღალი დონით და დაბალი ხელფასებით.

ზოგიერთი როლი/პროფესია კაცის დომინირების სფეროა, როგორიცაა, მაგალითად, სამაშველო სამსახური – როგორც წესი, ქალისთვის არ არის ჩვეულებრივი საქმე პროფესიონალ მაშველთა გუნდის წევრობა.

კატასტროფის რისკის შემცირებისთვის მოხალისეობრივი საზოგადოების მდგრადობის კულტურა პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ მოხალისებს მუდმივი დახმარება სჭირდებათ, რათა გაიუმჯობესონ მიღებული უნარ-ჩვევები და ცოდნა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი რეაგირება მოახდინონ გადაუდებელ სიტუაციებზე და როგორ მოიქცნენ კატასტროფის შემდგომ პერიოდში.

კატასტროფის რისკის შემცირება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ანგარიშის შემდეგი ნაწილი წარმოადგენს კატასტროფის რისკის შემცირების მართვას გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 და მე-11 მიზნებიდან გამომდინარე:

- გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი 5 – გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონა შესაძლებლებების გაუმჯობესება**

ინტერვიუებმა და ფოკუს-ჯგუფებზე დაკვირვებამ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში დაადასტურა, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევამდე რაიონებში ჯერ კიდევ შორია, რაც განპირობებულია ამ რეგიონებში გაბატონებული სოციალური და კულტურული ნორმებით.

ქალის როლი რეგიონებში, ძირითადად, ოჯახის მოვლა, ბავშვების აღზრდა და კაცების დახმარებაა, ხოლო თუ ქალი დასაქმებულია, როგორც წესი, ძალიან დაბალი ხელფასი აქვს. საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფის ინტერვიუებმა აჭარაში, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთში აჩვენა, რომ ქალები იძულებული არიან, დაბალანაზღაურებად სამსახურებში დასაქმდნენ, რადგან ასეთი სამსახურები სწორებ მათზეა გათვლილი. ისინი ამბობენ, რომ ამ სამსახურების მეშვეობით ისინი მთავარი შემომტანება არიან საქართველო იჯახებისთვის. ფოკუს-ჯგუფის წევრებმა აჭარის სამი – ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტიდან აღინიშნეს, რომ მათი თემის ბევრ ქალს მოუწია მეზობელ თურქეთში გადასვლა სამუშაოდ. ფოკუს-ჯგუფში მონაწილე ქალები და კაცები აღიარებენ იმასაც, რომ სახლში ქალი, გარდა ოჯახური საქმიანობისა, დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით და მინაზე მუშაობით, რაც ემატება სახლს გარეთ არსებულ სამსახურს და ოჯახში კი – დედობა და მეუღლის როლს, თუმცა როლების სამართლიან განაწილებასთან დაკავშირებით კაცებისა და ქალების აღქმა განსხვავებულია. კაცებს მიაჩნიათ, რომ ეს სამართლიანი განაწილებაა, რადგან ისინი სათანადო არ აფასებენ ქალების, როგორც დედების, როლს. ქალების აზრით კი, ისინი ზედმეტად ბევრს მუშაობენ და თავს უფლებაჩამორთმეულად მიიჩნევენ.

ჩვეულებრივ, კაცები მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ, რაც მათგან სახლიდან შორს ყოფნას მოითხოვს. ისინი შორეულ საძოვრებზე არიან წასულები მთელი დღით და ხანდახან მთელი კვირითაც კი. კითხვაზე, თუ რას ფიქრობდნენ იმ იჯახებზე, საიდანაც ქალებს სამსახურის შოვნის მიზნით ემიგრაცია და ოჯახების დატოვება ძოვნიათ, ფოკუს-ჯგუფის წევრმა ქალმა თელავიდან აღნიშნა, რომ კაცები თავს არიდებენ ისეთი ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც, ტრადიციულად, ქალთან ასოცირდება. „ასეთი კაცები არათუ ცოლების მძიმე შრომის ხარჯზე ცხოვრობენ, არამედ მათ მიერ გამოგზავნილ ფულს უყაირათოდაც კი ხარჯავენ“, – განაცხადა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილე ქალმა თელავიდან.

- გაეროს მდგრადი განვითარების მე-11 მიზანი – ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება**

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის ზოგიერთმა მონაწილემ გაგვიზიარა საქართველო წუბანიზაციისა და მიგრაციის ტენდენციებზე, რამაც უარყოფითად იმოქმედა მათ თემებზე, რის გამოც შემცირდა სოფლების მცხოვრებთა რაოდენობა და იქ მხოლოდ ასაკოვანი მოსახლეობა დარჩა. მსგავსი ტენდენცია ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის ყველა მონაწილის სოფელში აღინიშნება. ფოკუს-ჯგუფების წევრებმა დუშეთისა და თანეთის მუნიციპალიტეტების სოფლებიდან განაცხადეს, რომ მათ სოფლებში, ძირითადად, 65 წელს გადაცილებული ქალებისა და კაცების რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის დაბალობით 70%-ია. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა თქმით, ეს ხელს უშლის სოფლების განვითარებას და მათი გაქრობის საფრთხეს ქმნის.

V. ჩატარებული კატასტროფის რისკის შედეგები

მთლიანობაში, კვლევამ აქტიურად გამოკვეთა საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკაში, სტრატეგიასა და პრაქტიკაში გენდერული მენსტრიმინგის განხორციელების საჭიროება. ქვეყანაში არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ თანასწორობასა და კატასტროფის რისკის შემცირებას. კვლევამ ასევე გამოავლინა, ერთი მხრივ, ეროვნული და ადგილობრივი, მეორე მხრივ კი, საერთაშორისო აქტორების საკმაოდ მაღალი მზადყოფნა, წახალისდეს რისკების მართვის დანერგვისკენ ორიენტირებული გენდერზე მორგებული მიღვიმების გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს კატასტროფის შედეგების შერჩბობა და კატასტროფის რისკის მართვა უფრო მეტად გახდეს დამოკიდებული თემის მედეგობაზე.

სენდაის ჩარჩოს პრიორიტეტი 1: კატასტროფის რისკის გაანალიზება

- გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის შესაძლებლობათა ზრდა, რაც გამოყენებული იქნება კატასტროფის წინ რისკების შეფასების, პრევენციისა და შემცირების მიზნით და ასევე უზრუნველყოფა შესაბამის მზადყოფნასა და ეფექტიან რეაგირებას.
- ადგილობრივ დონეზე რისკის შეფასების მეთოდოლოგიის, მათ შორის, გენდერულად მგრძნობიარე მოწყვლადობის ანალიზის განსახორციელებლად საჭირო რისკის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რათა გენდერულად სპეციფიკური რესურსებისა და მომსახურებების მიწოდება და მართვა გაცილებით ადეკვატური იყოს ყველა, მათ შორის, თემის დონეზე. ამ მიზნით, საჭიროა ადვოკატირება გაეწიოს მოწყვლადობის შეფასების სათემო ინსტრუმენტს, რომელიც უნდა მოერგოს სამთავრობო აქტორების მიერ ალიარებულ ეროვნული დონის რისკის შეფასების მეთოდოლოგიას.
- შესაბამის ეროვნულ უნიტებს (როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) უნდა დაევალოთ სტანდარტიზებული, სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი და ქალების, გოგონების, კაცებისა და ბიჭების შესახებ ინფორმაციის ცალ-ცალკე მიწოდება, რათა ეფექტიანად და სისტემატიზებულად ხდებოდეს შესაბამისი მონაცემების მართვა.
- გაძლიერდეს გენდერულად მგრძნობიარე ადრეული შეტყობინების სისტემები ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, რაც ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების განსხვავებულ საჭიროებებზე იქნება მორგებული და გაითვალისწინებს მათი მხრიდან პოტენციური და გამანადგურებელი საშიშროების შესახებ საინფორმაციო და საკომუნიკაციო არხებზე განსხვავებულ ხელმისაწვდომობას; აქვე უნდა იყოს გათვალისწინებული რეგიონული განსხვავებებიც.
- კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ საზოგადოების ცნობიერებისა და განათლების ხარისხის ამაღლება და გაძლიერება; ინფორმაციისა და ცოდნის ასამაღლებელ კამპანიებში, სოციალურ მედიასა და საზოგადოებრივი მობილიზაციის სხვადასხვა ფორმაში გენდერულად სპეციფიკური კატასტროფის რისკის მართვის ინფორმაციისა და ცოდნის ჩართვა. ასევე, აუცილებელია ამ მიზნით რაც შეიძლება მეტი განსხვავებული მედიასაშუალების გამოყენება.
- კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ინდივიდუალურ დონეზე მათი ეფექტიანი მართვის მიზნით შესაბამისი ინსტრუმენტების შეთავაზება ადრეული ბავშვობის ასაკიდან, ისე რომ ამ ინსტრუმენტებში ჩართული იყოს გენდერთან დაკავშირებული საკითხებიც.
- შერეულ ჯგუფებსა და არაგენდერულად სპეციფიკურ სამიზნე ჯგუფებში ტრენინგების შეთავაზება ქალებისა და კაცებისთვის, ისევე როგორც გოგონებისა და ბიჭებისთვის კატასტროფის რისკის მართვის სხვადასხვა თემატიკაზე და ამ მიზნით როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების არხების გამოყენება;
- ახალგაზრდების, მათ შორის, გოგონებისა და ბიჭების მეტი ჩართულობა ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებში, რათა ამაღლდეს მათი ცოდნა და უნარები კატასტროფის წინაარე, უშუალოდ კატასტროფისა და მის შემდგომ აქტივობებში; წახალისდეს გოგონების მეტი მონაწილეობა კატასტროფის მართვაში.

სენდაის ჩარჩოს პრიორიტეტი 2: კატასტროფის მართვის სისტემის გაძლიერება კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით

- გაძლიერდეს გენდერზე ორიენტირებული კატასტროფის რისკის შემცირების კონცეპტუალური და პრაქტიკული ალება, განსაკუთრებით ეროვნულ დონეზე, რაც ზემოქმედებას მოახდენს გენდერზე ორიენტირებული კატასტროფის რისკის მართვის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაზე საქართველოში და გაზრდის გადაწყვეტილების მიმღები აქტორების ცნობიერებას როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

- ადვოკატირება გაენიოს გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის შემცირების კარიტერიუმების სტანდარტიზებას პოლიტიკის ინტერვენციებში სამომავლოდ, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, რაც შესაბამის სტრატეგიულ და პოლიტიკურ დოკუმენტებში (კონცეპტუალური განაცხადები, სტრატეგიული გეგმები, სამოქმედი გეგმები და სხვა) აისახება.
- ადვოკატირება გაენიოს გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის შემცირების კონცეპტუალური ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებასა და მიღებას, რომლის პროცესშიც ყველა რელევანტური დაინტერესებული აქტორი მაქსიმალურად პროაქტიულად იქნება ჩართული.
- გაძლიერდეს მცდელობები კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმაში გენდერულად მგრძნობიარე საკითხების ჩასართვად; ამოქმედდეს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-13 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გენდერული საბჭოებისა და გენდერის კოორდინატორის არსებობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რათა გაიზარდოს გენდერული კომპონენტის მაქსიმალური ინტეგრირება შესაბამის დოკუმენტებსა და ინიციატივებში.
- გაიზარდოს გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ ცოდნა და ცნობიერება გენდერის კოორდინატორებს შორის, რაც მომავალში გაზრდის კატასტროფის მიმართ შესაბამის მზადყოფნასა და ეფექტური რეაგირების შესაძლებლობას.
- მეტი უფლებამოსილება მიენიჭოთ ქალებს იმ მიზნით, რომ მომავალშიც შენარჩუნდეს მათი აქტიური ჩართულობა საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების აქტივობებში; თუმცა, აგრეთვე, აუცილებელია ძალისხმევა და შესაბამისი ინვესტიციების ჩადება კაცების გასააქტიურებლად და მათი მონაწილეობის ხარისხის გასაზრდელად, განსაკუთრებით საქართველოს მაღალმთიან რაიონებში. რეკომენდაცია ვრცელდება გოგონებსა და ბიჭებზეც.
- აღმოიფხვრას ქალების მიჯაჭვულობა სახლზე, კატასტროფის რისკის შემცირებისა და მზადყოფნის საჭიროებიდან გამომდინარე, მათვის ტექნიკური და ფიზიკური (ცურვა, ცოცვა, მანქანის მართვა) უნარების გაუმჯობესების გზით. აგრეთვე, გაიზარდოს კატასტროფის მართვის სხვადასხვა საჭიროებიდან გამომდინარე ინფორმაციის, ტრენინგებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობა ქალებისთვის.
- შეგროვდეს საუკეთესო გამოცდილებები და დამკვიდრდეს მისაბაძი ქალის მოდელი კატასტროფის რისკის მართვაში, რაც გავლენას მოახდენს თემის ცნობიერების ამაღლებაზე; მისაბაძი ქალი მოდელის გამოყენება მოხდეს სხვადასხვა კამპანიაში.

სენდაის ჩარჩოს პრიორიტეტი 3: ინვესტიციის განხორციელება კატასტროფის რისკის შემცირებაში მდგრადობის მიზნით

- კატასტროფის რისკის შემცირების ინსტრუმენტების შეთავაზებისას გენდერულად მგრძნობიარე მონაცემების ინტეგრირება პროგრამულ ბიუჯეტებში და შესაბამისი რესურსებისა და მომსახურებების გამოყვა კატასტროფის რისკის შემცირების აქტივობებისთვის.
- მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები გენდერულად მგრძნობიარე უნდა გახდეს იმისთვის, რომ უკეთ უპასუხოს ქალებისა და კაცების საჭიროებებს მუნიციპალიტეტების მიერ შეთავაზებულ პროგრამებში.
- გამოიყოს მეტი ადამიანური და ტექნიკური რესურსი ადგილობრივ დონეზე პირველადი სამედიცინო დახმარების მომსახურების შეთავაზებისას, რათა მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროებები.
- გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები გენდერზე მორგებული კატასტროფის რისკის შემცირების აქტივობების განხორციელებისას, მათ შორის, ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანიების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების დროს.
- გამოიყოს ფინანსური რესურსები მოხალისეთა ჯგუფების წევრი ქალებისთვის.
- მოხდეს გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის შემცირებისკენ მიმართული საგანმანათლებლო ინსტრუმენტების შეთავაზება, რომლებიც არსებული ხარვეზებისა და საჭიროებების დეტალურ ანალიზს ეფუძნება; შეთავაზებული ფორმალური და არაფორმალური ტრენინგების ფორმატი უნდა განისაზღვროს ამ კვლევაზე დაყრდნობით.

- ინვესტირება განხორციელდეს გენდერულად მგრძნობიარე კატასტროფის რისკის შემცირების ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველსაყოფად, სადაც გათვალისწინებული იქნება ყველა ასაკობრივი ჯგუფის საჭიროება.
- ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველყოფის მიზნით გააქტიურდეს ფინანსური რესურსების მოძიება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდებისგან.

სენდაის ჩარჩოს პრიორიტეტი 4: კატასტროფისთვის მზადყოფნის გაძლიერება, ეფექტიანი რეაგირების და „ხელახლა უკეთესი ხარისხით მშენებლობის“, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით

- წახალისდეს კატასტროფაზე რეაგირებისა და რეკონსტრუქციის ეტაპზე გენდერულად სამართლიანი და საყოველთაოდ აღიარებული მიდგომების დანერგვა.
- ევაკუაციის დროს საჭირო გენდერულად დეტალიზებული მონაცემებისა და მტკიცებულებების შეგროვებასა და ანალიზში არსებული ხარვეზების შევსებით გაიზარდოს რეაგირების, რეაბილიტაციისა და აღდგენის პროცესების ეფექტურობა და ეფექტიანობა; უზრუნველყოფილი იყოს გენდერულად სპეციფიკური ჰუმანიტარული დახმარება, მომსახურება და რესურსები.
- გაიზარდოს ცოდნა რეაგირების, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის პროცესებში ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების სპეციალური საჭიროებების შესახებ.
- რეაგირების, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის პერიოდებში უზრუნველყოფილ იქნას გენდერისა და ასაკის შესაბამისი დახმარებისა და მომსახურებების მიზნდება ქალებისა და კაცებისთვის, გოგონებისა და ბიჭებისთვის.
- გაიზარდოს საქართველოში ყველა მოსალოდნელი რისკის შესუსტებისთვის სათანადო მზადყოფნა ეფექტური და ეფექტიანი რეაგირების, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.
- განხორციელდეს საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ქალებსა და გოგონებს შორის, კატასტროფის რისკის შემცირების სფეროში მოხალისეობრივი კულტურის განვითარება, ქალი მაშველების რაოდენობის გაზრდა და შესაბამისი ფინანსური წახალისებების სისტემის უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები: გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 და მე-11 მიზნებიდან გამომდინარე

- გენდერის თემატიკა ჩაერთოს კატასტროფის რისკის შემცირების საუნივერსიტეტო აკადემიურ პროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებში; ეს შესაძლებელია როგორც მისი მეინსტრიმინგით არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, ისე საგანგებო სიტუაციების მართვასა და მზადყოფნაზე ორიენტირებულ კურიკულუმებში, ასევე, შემცირდეს გენდერული სტერეოტიპები როგორ სასწავლო პროგრამებში, ისე სახელმძღვანელოებში.
- განხორციელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და განათლების სფეროში მოქმედ სხვა მნიშვნელოვან აქტორებთან თანამშრომლობა იმ მიზნით, რომ მოხდეს გენდერული მეინსტრიმიგი კატასტროფის რისკის შემცირებაზე ორიენტირებულ კურიკულუმებში, ასევე, შემცირდეს გენდერული სტერეოტიპები როგორ სასწავლო პროგრამებში, ისე სახელმძღვანელოებში.
- ყურადღება გამახვილდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებზე, რათა დაიძლიოს გენდერული სტერეოტიპები, მათ შორის, ქალისა და კაცის როლის შესახებ კატასტროფის მზადყოფნისა და საგანგებო სიტუაციებში განხორციელებულ საქმიანობებში.
- წახალისდეს ახალგაზრდების აქტიური ჩართვა კატასტროფის მზადყოფნისა და რისკის შემცირების საქმიანობებში ბიჭებისა და გოგონების როლის თანასწორი წარმოდგენისკენ მიმართულ ადვოკატირების კამპანიებში; ამის მიღწევა შესაძლებელია დებატებისა და დისკუსიების მეშვეობით; ასევე მოხდეს აღნიშნული კამპანიების გამოყენება თემის დონეზე გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნითაც.

ბიბლიოგრაფია

- http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11041/1/The_Histori Of The_Flora.pdf
- http://www.geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo
- [http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management\(1\).pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management(1).pdf)
- http://drm.cenn.org/Hazard_assessment_files/eng/Seismic_hazard_assessment_of_Georgia.pdf
- http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/agriculture/Environment_2015.pdf
- <http://www.preventionweb.net/countries/geo/data>
- <http://pubdocs.worldbank.org/en/289611483041846865/georgia.pdf>
- [http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management\(1\).pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Natural_Disaster_Risk_Management(1).pdf)
- http://hdr.undp.org/sites/all/themes/hdr_theme/country-notes/GEO.pdf
- <http://data.worldbank.org/country/georgia>
- <http://www.worldbank.org/en/country/georgia/overview>
- http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=182&lang=eng
- http://www.preventionweb.net/files/43006_GEO_NationalHFAprogress_2013-15.pdf
- <http://eeca.unfpa.org/publications/men-and-gender-relations-georgia>
- http://police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20Capacity%20Assessment%20Report%20Georgia%202014.pdf
- http://www.unisdr.org/files/43291_sendaiframeworkfordrren.pdf
- <http://www.un.org/sustainabledevelopment/sustainable-development-goals/>
- Transforming Our World the 2030 agenda for Sustainable Development
- <https://matsne.gov.ge/en/document/view/91624>
- Council of Europe. 2011. Definitions, Istanbul convention.
- UN. 2014. Women's Rights are Human Rights.
- <http://www.un.org/womenwatch/osagi/conceptsanddefinitions.htm>
- <http://policy-practice.oxfam.org.uk/publications/oxfam-minimum-standards-for-gender-in-emergencies-305867>
- https://www.constituteproject.org/constitution/Georgia_2013.pdf?lang=en
- www.parliament.ge/files/98_12977_250758_concept_gender_E.doc
- <https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUUzRjWIFVV3B1am8/view>
- <https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUUzRjWIFVV3B1am8/view>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>
- <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622>
- http://gov.ge/files/429_51454_924779_STRATEGYENG.pdf
- <https://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1662.pdf>
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385.
- ACT. 2016. სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება. თბილისი, შპს „ფაუნდეიც ჯორჯია“
- <http://www.coe.int/fr/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210/signatures>
- <http://www.ombudsman.ge/en/specializirebuli-centrebi/genderuli-tanasworoba/genderuli-meinstrimeti-sax-alxo-damcvelis-aparatshi>
- <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1176.pdf>
- http://www.parliament.ge/files/1099_17471_211787_6.pdf

http://www.parliament.ge/files/1099_17471_211787_6.pdf

http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/public-perceptions-on-gender-equality-in-politics-and-business.html

მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, 2013. ქალთა ფონდი საქართველოში. http://www.womenfundgeorgia.org/?48/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/&lan=ge

მასწავლებელთა ცოდნისა და დამოკიდებულებების კვლევა გენდერული თანასწორობის შესახებ, 2013. ქალთა ფონდი საქართველოში. http://www.womenfundgeorgia.org/?48/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90_%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/&lan=ge

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156>

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3547798>

<https://matsne.gov.ge/ru/document/download/2764463/1/en/pdf>

<https://matsne.gov.ge/en/document/download/2363013/2/en/pdf>

http://meca.gov.ge/itst/_FILES/files/law_government_eng.pdf

<https://matsne.gov.ge/en/document/download/2244429/15/en/pdf>

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3547798>

<http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2016/report%20-%20the%20gender%20assessment%20of%20agriculture.pdf?vs=3323>

<http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2016/report%20-%20the%20gender%20assessment%20of%20agriculture.pdf?vs=3323>

<http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2016/report%20-%20the%20gender%20assessment%20of%20agriculture.pdf?vs=3323>

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ყველა ჩვენს პარტნიორსა და ორგანიზაციას, რომლებმაც წვლილი შეიტანეს აღნიშნული კვლევის განხორციელებაში: საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატს ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მუშა სამარიტელთა კავშირს (ASB), კავკასიის გარემოს-დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს (CENN), საქართველოს ნითელი ჯვრის საზოგადოებას, გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), ქედის მუნიციპალიტეტს, შუახევის მუნიციპალიტეტს, ხულოს მუნიციპალიტეტს, თიანეთის მუნიციპალიტეტს, დუშეთის მუნიციპალიტეტს, თელავის მუნიციპალიტეტს და ყველა იმ ბენეფიციარს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ფოკუს-ჯგუფებსა და გამოკითხვაში.

მკვლევარები და ანგარიშის ავტორები: ეკატერინე ბასილაია, ნანა მაჭარაშვილი

გენდერის კონსულტანტი: ნინო ჯავახიშვილი

კვლევა წარმოადგენს ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო დაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამის „თემების მდგრადობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ნაწილს.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირისა და ევროკომისიის პოზიციას და არ არაან პასუხიმგებელი პუბლიკაციის შინაარსის გამოყენებაზე